



საქართველოს უნივერსიტეტი

სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი
(2014-2020 წწ) სამოქმედო გეგმა

2014 წელი

სარჩევი:

უნივერსიტეტის მიზანი

მისია	3
ხედვა	3
ღირებულებები	4
რესურსები	4

უნივერსიტეტის სტრატეგია

სტრატეგიული გრძელვადიანი მიზნები	5
სტრატეგიული გრძელვადიანი მიზნების განხორციელების სტრატეგია	6
გარემო ფაქტორების ანალიზი	9
SWOT ანალიზი	11
კონკურენტთა ანალიზი	19

სტრატეგიული მიზნებისათვის მისაღწევად საჭირო რესურსები

სასწავლო პროგრამები	22
მატერიალური რესურსი	30
ტექნიკური რესურსი	32
ფინანსური რესურსი	33
ადამიანური რესურსი	34
საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგული კამპანიის სტრატეგია	35
უნივერსიტეტის ინვესტიციები და თანმდევი ბიზნესები	39

მონიტორინგისა და შეფასების კრიტერიუმები

სტრატეგიული მიზნების განხორციელების ვადები	41
შეფასების მეტრიკა და კრიტერიუმები	45

შესავალი:

საქართველოს უნივერსიტეტის გრძელვადიანი (2014-2020 წწ) სტრატეგიული გეგმა მოიცავს უნივერსიტეტის მისიას, ხედვას, ღირებულებებსა და მიზნებს. სტრატეგია განსაზღვრავს თუ როგორ უნდა მიაღწიოს უნივერსიტეტმა დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზითა და საჭირო დამატებითი რესურსების მოძიებით. სტრატეგიული გეგმა დეტალურად ახდენს გარემო ფაქტორების, კონკურენტებისა და SWOT (სიძლიერე, სისუსტე, შესაძლებლობები და საფრთხე) ანალიზს. გეგმა მიმოიხილავს, უნივერსიტეტის თითოეული სკოლის (ფაკულტეტის) მისიას, მიზნებსა და მათი მიღწევის გზებს.

სტრატეგიულ გეგმაში გაწერილია 2014-2020 წლების სასწავლო პროგრამებისა და სასწავლო-სამეცნიერო პროცესის ეფექტურად წარმართვისა და განვითარების, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგული კამპანიის სტრატეგია, სადაც იდენტიფიცირებულია ყველა საკომუნიკაციო არხი შესაბამისი სეგმენტის მიხედვით. აგრეთვე, განხილულია მარკეტინგული და პიარ ინსტრუმენტების გამოყენების რელევანტურობა და მიზნობრიობა. სტრატეგიული მიზნების განხორციელების ვადის პარალელურად, მოცემულია შეფასების მეტრიკა და კრიტერიუმები, რომლებიც ნათლად წარმოაჩენს დასახული მიზნების წარმატებით ან წარუმატებლად განხორციელებას.

სტრატეგიული გეგმის სწორად განხორციელება ხელს უწყობს უნივერსიტეტის წარმატებულ საქმიანობას, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარზე.

მისია:

უნივერსიტეტის მისიაა ცოდნის საზღვრების გაფართოვება და პიროვნების განათლება, რაც პატიოსნებასა და შრომაზე დაფუძნებული პროფესიული საქმიანობითა თუ მეცნიერული მიღწევებით განაპირობებს საზოგადოების ჯანსაღ, ჰუმანურ და დემოკრატიულ განვითარებას სახელმწიფოსა და ზოგადად, კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

ხედვა:

- გახდეს და შეინარჩუნოს ყველაზე დიდი და მოთხოვნადი კერძო უნივერსიტეტის სტატუსი რეგიონში.

- გახდეს ყველაზე ინოვაციური უნივერსიტეტი: როგორც სასწავლებელი, კვლევითი დაწესებულება, ბიზნეს-ორგანიზაცია.

- შეიტანოს მნიშვნელოვანი წვლილი კავკასიის რეგიონისა და მის ფარგლებს გარეთ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ განვითარებაში.

სტრატეგიული გრძელვადიანი ხედვა:

საქართველოს უნივერსიტეტის სტრატეგიული გრძელვადიანი ხედვა არის გახდეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მძლავრი უნივერსიტეტი რეგიონში. საქართველოს უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღებას, თანამედროვე ტექნოლოგიებისა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობითა და სასწავლო პროცესის ეფექტური წარმართვით. აკადემიურმა, პროფესიულმა და სასერტიფიკატო პროგრამებმა, ყველა ასაკის სტუდენტს მისცეს საშუალება ისწავლოს, როგორ გახდეს ექსპერტი გარკვეულ სფეროში, როგორ გადაჭრას მის წინაშე მდგომი პრობლემები და გამოიყენოს შესაძლებლობები. ეს გზავნილი ახლავს უნივერსიტეტის მისიას. საქართველოს უნივერსიტეტის სტრატეგიული ხედვაა შეიქმნას ისეთი საუნივერსიტეტო გარემო, რომელიც სტუდენტს მისცემს თვითრეალიზების საშუალებას, ჩამოუყალიბებს სამოქალაქო აზროვნებას და გაზრდის ისეთ პროფესიონალებს, რომლებიც მეცნიერულ თუ პროფესიულ ცოდნასა და უნარებს კაცობრიობის საკეთილდღეოდ წარმართავენ.

საქართველოს უნივერსიტეტის სახელის ქვეაზრი არის "საქართველოს მთავარი უნივერსიტეტი" და მისი სტრატეგიული სლოგანი მოიცავს: "ისწავლე მომავლისთვის".

ღირებულებები:

- 1) კეთილსინდისიერება;
- 2) პიროვნების პატივისცემა;
- 4) კოოპერაცია და სოლიდარობა;
- 5) განვითარებისკენ სწრაფვა;
- 6) პასუხისმგებლობა.

რესურსები:

საქართველოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სამეცნიერო-კვლევითი რესურსი ემსახურება საქართველოს ბიზნეს სექტორისა და საგანმანათლებლო ინდუსტრიის საჭიროებებს. უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფენ არსებული რესურსების ეფექტურ გამოყენებას, მიწოდებას, უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას. სტრატეგიული განვითარების სამსახური ეხმარება სკოლებს და დეპარტამენტებს განავითარონ სტრატეგიული და ტაქტიკური საკითხები, რომელიც შეესაბამება ერთიან საუნივერსიტეტო მიზნებს.

საქართველოს უნივერსიტეტის სტრატეგია

საქართველოს უნივერსიტეტის გრძელვადიანი (2014-2020 წწ) მიზნები და მათი განხორციელების სტრატეგია:

სასწავლო მიზნები:

I მიზანი: პროცესების შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობა და მისი კონკურენტუნარიან პროფესიონალად ჩამოყალიბება, ახალი სასწავლო/სამეცნიერო პროგრამების შემუშავებითა და არსებული პროგრამების გაუმჯობესებით, უმაღლესი საგანმანათლებლო, პროფესიული, კვალიფიკაციის ამალღებისა და გადამზადების პროგრამების შეთავაზებით.

მიზნის მისაღწევი სამოქმედო გეგმა: სასწავლო პროცესის, სამუშაო შეხვედრების, სემინარების, კონფერენციებისა და ტრენინგების, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობით უზრუნველყოფა. თანამედროვე მოთხოვნებზე დაყრდნობით შემუშავებული სასწავლო/სამეცნიერო პროგრამების შექმნა და არსებულის განვითარება, რომელიც ხელს შეუწყობს პროცესების უწყვეტ პროფესიულ ზრდას. საბაზრო კონიუნქტურის მუდმივი მონიტორინგი და შედეგების ასახვა აკადემიურ პროგრამებსა და სასწავლო პროცესზე.

სტუდენტურ საქმეთა ცენტრის ეფექტური კოორდინირება, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის მიღმა უზრუნველყოფს სტუდენტთა მისწრაფებების და შესაძლებლობების რეალიზებას სხვადასხვა პროექტების, შემეცნებით-საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიებების მეშვეობით და ეხმარება მათ ლიდერული, კომუნიკაციური და სხვა საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებაში, რაც უზრუნველყოფს მათ კარიერულ წინსვლასა და დასაქმებას ადგილობრივ თუ გლობალურ შრომის ბაზარზე.

II მიზანი: საქართველოს უნივერსიტეტის ცალკეული სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი გაუმჯობესება, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტის პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

მიზნის მისაღწევი სამოქმედო გეგმა: უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის, სასწავლო ლაბორატორიების, ბიბლიოთეკის შემდგომი განვითარება, რომლითაც ისარგებლებს უნივერსიტეტის ყველა სკოლის სტუდენტი.

მათემატიკისა და ინფორმატიკის სკოლის სტუდენტების პრაქტიკული მუშაობის უზრუნველსაყოფად საინჟინრო-IT ცენტრებისა და ლაბორატორიების უახლესი მოდულებით განახლება. ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლისათვის სამკურნალო-პროფილაქტიკური ინფრასტრუქტურის განვითარება,

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლისათვის საველე კვლევებისათვის ბაზის შექმნა, ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის სკოლისათვის სიმულაციური საფონდო ბირჟის შექმნა, სოციალურ მეცნიერებათა სკოლისათვის ონლაინ მედია საშუალებების ჩამოყალიბება, ტელემედია ცენტრის დამატებითი აპარატურით აღჭურვა და საგამომცემლო საქმიანობის განვითარება. სამართლის სკოლისათვის სხვადასხვა მიმართულების იურიდიული კლინიკების შექმნა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ინჟინერიის სკოლის ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიებით, თანამედროვე ელექტროდანადგარებითა და ინოვაციური ხელსაწყოებით აღჭურვა.

III მიზანი: საუკეთესო აკადემიური პერსონალის მოზიდვა და შენარჩუნება.

მიზნის მისაღწევი სამოქმედო გეგმა: წამყვანი აკადემიური პერსონალისთვის სათანადო პირობების შექმნა, როგორცაა: მდიდარი სასწავლო წიგნების კოლექციისა და ორგანიზებული სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა, საგამომცემლო მომსახურებით უზრუნველყოფა, აუდიტორიების აღჭურვა საჭირო ტექნიკურ-ლაბორატორიული დანადგარებით. აკადემიური პერსონალისთვის მისაღები (ზოგიერთ შემთხვევაში მოქნილი) სამუშაო გრაფიკი, სამეცნიერო კვლევებზე მუშაობის შესაძლებლობა, კონკურენტული ანაზღაურება და წამახალისებელი ფაქტორები.

IV მიზანი: ზუსტი, საბუნებისმეტყველო და საინჟინრო სწავლების განვითარება.

მიზნის მისაღწევი სამოქმედო გეგმა: ფიზიკის ლაბორატორიის შექმნა, სტუდენტების მოზიდვა სწავლების დაბალი საფასურით და საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან პროგრამის ფინანსური მხარდაჭერა.

სამეცნიერო მიზნები:

V მიზანი: სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, როგორც უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის განვითარება.

მიზნის მისაღწევი სამოქმედო გეგმა: სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების განვითარება, ერთობლივ საგრანტო პროექტებზე მუშაობა, როგორც ადგილობრივ ისე საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან. პროფესორ-მასწავლებლებისთვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების მექანიზმის უზრუნველყოფა (ყველა პროფესორს საშუალება ექნება გარკვეულ სემესტრებში გათავისუფლდეს აკადემიური დატვირთვისგან და დრო დაუთმოს მეცნიერულ საქმიანობას).

VI მიზანი: ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარება

მიზნის მისაღწევი სამოქმედო გეგმა: სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობისთვის დარგის აღიარებული მეცნიერების მოწვევა და ცნობილ სამეცნიერო ცენტრებთან ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტი (დუბნა), ცერნი (ჟენევა) და სხვ. თანამშრომლობა.

კომერციული მიზნები:

VII მიზანი: საუნივერსიტეტო საზოგადოების მონაწილეობის და ჩართულობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელების პროცესში საუნივერსიტეტო ღონისძიებებისა და ინფორმაციის საჯაროობით, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის იმიჯისა და ბრენდ-ცნობადობის ზრდას.

მიზნის მისაღწევი სამოქმედო გეგმა: უნივერსიტეტის ცნობადობის ზრდას ხელს უწყობენ: კურსდამთავრებულები, არსებული სტუდენტები, მშობლები, უნივერსიტეტის მეგობრები (ბიზნეს პარტნიორები, საპატიო დოქტორები), აკადემიური პერსონალი და ადმინისტრაციული თანამშრომლები. აქტიური მარკეტინგული კამპანიის განხორციელებით, რომელიც მოიცავს ზემოთხსენებულ პირთა სხვადასხვა ინიციატივებსა და აქტივობებში ჩართულობას, განაპირობებს უნივერსიტეტის ზოგადი ცნობადობის ზრდას.

უნივერსიტეტის, როგორც ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლების მომწოდებელი სასწავლო დაწესებულების პოზიცირება საზოგადოებაში, ხდება ყველა მედია-საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით.

VIII მიზანი: საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვა და გაცვლითი პროგრამების სპექტრის გაფართოება, უცხოელ და ადგილობრივ პარტნიორებთან მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბება, საერთაშორისო აკრედიტაცია და ცნობადობის გაზრდა ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

მიზნის მისაღწევი სამოქმედო გეგმა: უცხოელ და ადგილობრივ პარტნიორებთან მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით. გაცვლითი და ორმაგი ხარისხის პროგრამების შემუშავება და მათი სპექტრის გაზრდა. საერთაშორისო რეკრუტული ქსელის შექმნა საერთაშორისო სტუდენტების მოსაზიდად, საერთაშორისო სემინარების, კონფერენციების, ტრენინგების და საერთო პროექტების განხორციელება. ერთიან საგანმანათლებლო და კვლევით სივრცეში მონაწილეობა და გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით თანამშრომლობა საქართველოსა სხვა ქვეყნების საგანმანათლებლო, საერთაშორისო და კვლევით დაწესებულებებთან. საერთო სტუდენტური საცხოვრებლის დაარსება და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვა. CEEMAN, AACSB-სა, EFMD EQUIS მოთხოვნების დაკმაყოფილება და EUA სრული წევრობა.

IX მიზანი: სტაბილური ბიზნეს საქმიანობის მიღწევა

მიზნის მისაღწევი სამოქმედო გეგმა: კონკურენტების მუდმივი მონიტორინგი, საბაზრო კონიუქტურის შესწავლა და მიღებული შედეგების საფუძველზე ადეკვატური რეაგირების მოხდენა შემდეგი მიმართულებით: საფასო პოლიტიკა, აკადემიური და სასწავლო პროცესის მაღალი ხარისხი, დამატებითი სტუდენტური მომსახურება, ლოიალურობა და არსებული ინფრასტრუქტურის გაფართოება.

სტაბილური ბიზნეს საქმიანობის მიღწევისათვის, შიდა და გარე რისკების მონიტორინგი (არსებული რისკების იდენტიფიცირება და შემცირება, სამომავლო რისკების გათვალისწინება, როგორცაა პოლიტიკური და ეკონომიკური ფლუქტუაციები, საბაზრო კონიუქტურის ცვლილება და შეძლებისდაგვარად, საფრთხის თავიდან აცილება, ალტერნატიული სამოქმედო გეგმის მეშვეობით).

X მიზანი: ორგანიზაციული ღირებულებების შექმნა და მისი დაცვა, თანამშრომელთა სოლიდარობა, ერთიანობა და მყარი ურთიერთობები.

მიზნის მისაღწევი სამოქმედო გეგმა: ორგანიზაციული ღირებულებების შექმნა და მისი დაცვა, თანამშრომელთა სოლიდარობა, საქმისადმი პასუხისმგებლობა, ერთიანობა და მყარი ურთიერთობების ჩამოყალიბება, საერთო პროექტებზე მუშაობითა და არასამუშაო საათების ერთად გატარების მეშვეობით.

XI მიზანი: საუკეთესო აბიტურიენტთა მოზიდვა.

მიზნის მისაღწევი სამოქმედო გეგმა: ეფექტური და ძლიერი მარკეტინგული და პიარ ინიციატივების მეშვეობით, მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე აბიტურიენტების მოზიდვა და მათი რიცხვის ზრდა, საგანმანათლებლო ტრეინინგების, შემეცნებით-გასართობი და სპორტული ღონისძიებების, ოლიმპიადების, აბიტურიენტთა საზაფხულო ბანაკის შეთავაზებითა და განათლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებით.

XII მიზანი: იყოს მოწინავე უნივერსიტეტი კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებისა და ინფორმატიზაციის დონით.

მიზნის მისაღწევი სამოქმედო გეგმა: მართვის ინფორმაციული სისტემის განვითარება და ონლაინ-სწავლების დანერგვა.

XIII მიზანი: ინვესტიციების განხორციელება პოტენციურად წარმატებულ ბიზნესებში, საინვესტიციო პორტფელის დივერსიფიკაცია და თანმდევი ბიზნესების განვითარება.

მიზნის მისაღწევი სამოქმედო გეგმა: პოტენციურად წარმატებული დამწყები ბიზნესების მოძიება და მათში ინვესტიციის განხორციელება. უნივერსიტეტის თანმდევი ბიზნესების : ავეჯის საწარმო, გამომცემლობა, სამედიცინო კლინიკა, კაფეტერია და სასადილო, წიგნებისა და საკანცელარიო მაღაზია და სხვ. ეფექტური გამოყენება და განვითარება.

XIV მიზანი: ინფრასტრუქტურის განვითარება (სასწავლო კორპუსებს შორის საუნივერსიტეტო პარკის მოწყობა)

მიზნის მისაღწევი სამოქმედო გეგმა: ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი ფართების გამოსყიდვა და გამოთავისუფლებული ტერიტორიის კეთილმოწყობა.

გარემო ფაქტორების ანალიზი

გარემო ფაქტორის დასახელება	ანალიზი
დემოგრაფიული	<ul style="list-style-type: none"> ➤ სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში წელიწადის განმავლობაში იზადება 44,000 ახალშობილი, რომელიც წინა წლების მაჩვენებლებთან შედარებით იზრდება წლიური 2-3%-ით. ➤ აბიტურიენტთა რიცხვი წელიწადში საშუალოდ 25-30,000 -ს აღწევს. ➤ სოციალური მდგომარეობა წინა წლებთან მიმართებაში გაუმჯობესებულია მომსახურების ცენტრების აქტივობისა და ჯანდაცვის სისტემის რეფორმების საფუძველზე. ➤ სამომხმარებლო კალათა გაზრდილია დაახლოებით 5%-ით, რაც გამოწვეულია ინფლაციის მაჩვენებლის ზრდით. შესაბამისად, შემსყიდველუნარიანობამ დაიკლო წინა წლებთან შედარებით. სტატისტიკური მონაცემების პროგნოზი გვიჩვენებს ამ პროცენტული მაჩვენებლების სტაბილურობას. ➤ 5 წლის განმავლობაში მოსალოდნელია როგორც დემოგრაფიული მაჩვენებლის, ისე ინფლაციის პროცენტული მაჩვენებლის ზრდა, რაც აისახება უნივერსიტეტის სტუდენტთა რაოდენობის კვოტასა და საფასო პოლიტიკის ყოველწლიურ გადახედვაზე.
უმაღლესი საგანმანათლებლო	<ul style="list-style-type: none"> ➤ საშუალო სკოლებში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმები დადებითად აისახება მომავალი 5 წლის განმავლობაში მისაღებ კონტიგენტთა ზოგადსაგანმანათლებლო დონეზე. ➤ საგანმანათლებლო ბაზარზე ტენდენციურად იზრდება უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა და შესაბამისად, შეთავაზებული სასწავლო პროგრამების სპექტრი. ➤ ყოველწლიურად, ხდება კერძო უნივერსიტეტების დონის გაუმჯობესება და პოპულარობით მიახლოება სახელმწიფო უნივერსიტეტებთან, რაც მომავალში განაპირობებს სახელმწიფო უნივერსიტეტების კონკურენციის დონის კლებას. ➤ საერთაშორისო დონის უნივერსიტეტებთან კავშირი განაპირობებს, დასავლური ტენდენციების გავრცელებას, რომელიც ხელს შეუწყობს, როგორც უცხოელ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდას, ისე დისტანციური სწავლების პლატფორმის განვითარებას.

<p>ეკონომიკური</p>	<ul style="list-style-type: none"> ➤ წინა 2006-2011 წწ შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 7.2% შეადგინა. ➤ პირდაპირი ინვესტიციების ნაკადი წინა წლებთან მიმართებაში ტენდენციურად იზრდება, რაც გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდას, სოციალური პროგრამების დაფინანსებას, საგანმანათლებლო რეფორმის ხელშეწყობასა და მეტი სამუშაო ადგილების შექმნას. ➤ ყოველწლიური ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილება გამოიწვევს უნივერსიტეტის საფასო პოლიტიკის გადახედვას, რომელიც მორგებული იქნება საგანმანათლებლო ბაზრის მოთხოვნებსა და მომხმარებლების სოციალურ-ეკონომიკურ შესაძლებლობებზე. ➤ მომდევნო 6 წლის განმავლობაში, შესაძლებელია გათანაბრდეს კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტების სწავლების ღირებულება, რაც გამოიწვევს მათ შორის კონკურენციის გათანაბრებას.
<p>ტექნოლოგიური</p>	<ul style="list-style-type: none"> ➤ უნივერსიტეტების განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი მაჩვენებელი მათი ტექნოლოგიური წინსვლაა. სამეცნიერო-კვლევით თუ ლაბორატორიულ ასპექტებში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სულ უფრო იზრდება, რაც გამოიწვევს უნივერსიტეტებს შორის კონკურენტუნარიანობის შეფასებას არამხოლოდ სასწავლო პროგრამების მიხედვით, არამედ მათი ტექნოლოგიური წინსვლით. ➤ დასავლური ტენდენციების გავრცელებამ გამოიწვია ტექნოლოგიური გარდატეხა, რომელიც მოითხოვს საუნივერსიტეტო სივრცეში დასაქმებულთა და სტუდენტთა უნარ-ჩვევების განვითარებას. ➤ ვინაიდან ქვეყნის განვითარების უმთავრესი მაჩვენებელი მისი ტექნოლოგიური წინსვლაა, შესაძლებელია განათლების სისტემის მეშვეობით დაფინანსდეს საინჟინრო და ინფორმაციული ტექნოლოგიების ფაკულტეტები, პროგრამები და სხვადასხვა პროექტები.
<p>პოლიტიკური</p>	<ul style="list-style-type: none"> ➤ ქვეყნის უმთავრეს პრიორიტეტს განათლების სისტემის განვითარება წარმოადგენს, შესაბამისად მომდევნო 5 წლის განმავლობაში საშუალო სკოლებში გაიზრდება ზოგადსაგანმანათლებლო დონე და აბიტურიენტთათვის უმაღლესი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა.

SWOT ანალიზი

სიძლიერე:

- ✓ საბაზრო მოთხოვნებზე დაყრდნობით შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამები. უცხოელი და ქართველი პროფესორების მიერ წარმართული სასწავლო პროცესი მცირე სამუშაო ჯგუფებში.
- ✓ ძირითადი და დამატებითი სპეციალობების ფართო არჩევანი, ორმაგი ხარისხისა და გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობა.
- ✓ სტაბილურად ზრდადი სტუდენტთა რაოდენობა.
- ✓ უნივერსიტეტის ადგილმდებარეობა და განვითარებული ინფრასტრუქტურა, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორები, ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები, ჯგუფური მუშაობის სპეციალიზირებული ოთახები, ღია და დახურული სპორტული მოედნები, კაფეტერიები და უსაფრთხო გარემო.
- ✓ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი პროცენტული მაჩვენებელი.
- ✓ კარგი აკადემიური მოსწრების სტუდენტები
- ✓ ხელმისაწვდომი და უცვლელი სწავლების საფასური
- ✓ აქტიური სტუდენტური ცხოვრება, შემოქმედებითი კლუბები და სტუდენტთა თვითრეალიზების შესაძლებლობა.
- ✓ მენეჯმენტისა და სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ელექტრონული სისტემა.

სისუსტე

- ✓ არაზუსტი ბრენდ იდენტიფიცირება
- ✓ გადასულ და გარიცხულ სტუდენტთა მიერ გავრცელებული ცრუ ინფორმაცია
- ✓ თანამშრომელთა შორის ინფორმაციის არადროულად გავრცელება
- ✓ სასწავლო დაწესებულების მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული უსახური დასახლება.

შესაძლებლობები

- ✓ მარკეტინგული და პიარ აქტივობების მეშვეობით ცნობადობის გაზრდა.
- ✓ სტუდენტთა და მშობელთა კმაყოფილების დონის ზრდა
- ✓ საერთაშორისო კავშირების გამყარება და უცხოელი სტუდენტების მოზიდვა

- ✓ ინფრასტრუქტურის განვითარება
- ✓ დამატებითი მომსახურების ობიექტების განვითარება
- ✓ სამეწარმეო და არასამეწარმეო ორგანიზაციებთან ალიანსის ჩამოყალიბება
- ✓ დასაქმებულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა რაოდენობის ზრდა
- ✓ დისტანციური განათლების პლატფორმის შემუშავება
- ✓ სტუდენტურ ცხოვრებაში ახალი ინიციატივების შეტანა

საფრთხე:

- ✓ უნივერსიტეტების რიცხვისა და კონკურენციის ზრდა
- ✓ ეკონომიკური და პოლიტიკური ფლუქტუაციები
- ✓ საბაზრო კონიუქტურის ცვლილება (მოთხოვნის შემცირება)
- ✓ სტუდენტთა და მშობელთა უკმაყოფილების ზრდა
- ✓ კონკურენტების მიერ შემუშავებული ანტი-პიარისტული კამპანია

სიმლიერე:

საგანმანათლებლო პროგრამები;
კურსდამთავრებულთა დასაქმება;
ინფრასტრუქტურა;
სტუდენტთა რაოდენობა;
ხელმისაწვდომი სწავლების საფასური;
ძირითადი და დამატებითი
სპეციალობები;
აქტიური სტუდენტური ცხოვრება;
მართვის ელექტ. სისტემა.

სისუსტე:

უსახური დასახლება უნივერსიტეტის
მიმდებარე ტერიტორიაზე;
არაზუსტი ბრენდ იდენტიფიცირება;
გადასულ და გარიცხულ სტუდენტთა
მიერ არაზუსტი ინფორმაციის
გავრცელება;

შესაძლებლობები:

ცნობადობის და კმაყოფილების დონის
ზრდა;
საერთაშორისო კავშირები;
საერთაშორისო სტუდენტები;
ინფრასტრუქტურის განვითარება;
დამატებითი მომსახურების ობიექტების
განვითარება;
ალიანსების ჩამოყალიბება;
დასაქმების მაჩვენებლის ზრდა;
დისტანციური განათლება;
სტუდენტური ინიციატივები.

საფრთხე:

კონკურენციის ზრდა;
ეკონომიკური და პოლიტიკური
ფლუქტუაციები;
მოთხოვნის შემცირება;
უკმაყოფილების დონის ზრდა;
ანტი-პიარისტული კამპანიები.

სიძლიერე :

სასწავლო პროგრამა

საქართველოს უნივერსიტეტს აქვს საბაზრო მოთხოვნებზე დაყრდნობით შემუშავებული სასწავლო პროგრამები. სტუდენტები იღებენ როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ განათლებას. სასწავლო პროგრამები შემუშავებულია იმგვარად, რომ სტუდენტი უზრუნველყოს ზოგადი და პროფესიული ცოდნით, განუვითაროს წერითი კომუნიკაციის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრის, დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის, ტექნიკური და ა.შ უნარები, რაც მას დაეხმარება კარიერულ წინსვლასა და დასაქმებაში.

ინფრასტრუქტურა

საქართველოს უნივერსიტეტი აღჭურვილია უახლესი საინფორმაციო ტექნიკით, ტელე-მედია ცენტრით, ლაბორატორებით, ბიბლიოთეკით, ღია და დახურული სპორტული მოედნებითა და ქვეყანაში ყველაზე კეთილმოწყობილი, თანამედროვე, უსაფრთხო და კომფორტული სასწავლო გარემოთი ქალაქის ცენტრში, რაც შეესაბამება დასავლურ სტანდარტებს და სტუდენტებს ხელს უწყობს ხარისხიანი განათლების მიღებაში.

კურსდამთავრებულთა დასაქმება

საქართველოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა 89.3% დასაქმებულია. აქედან ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობის (164) მიხედვით, მხოლოდ 10% (16 სტუდენტი) დროებით უმუშევარია, ხოლო მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა რაოდენობის (308), მხოლოდ 12% (25 სტუდენტი). აღნიშნული მაჩვენებელი მიუთითებს საქართველოს უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების რელევანტურობას დასაქმების ბაზართან მიმართებაში და მისი სტუდენტების უმაღლეს აკადემიურ მოსწრებას.

აკადემიურად მოსწრებული სტუდენტები

სასწავლო პროცესის კვლევის მიხედვით, რომელსაც საქართველოს უნივერსიტეტი ყოველსემესტრულად ატარებს სტუდენტებში, გამოკითხულთა 81% საქართველოს უნივერსიტეტში აბარებს ხარისხიანი განათლების მიღების მიზნით. საქართველოს უნივერსიტეტში ჩარიცხულ აბიტურიენტთა უმრავლესობა სარგებლობს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით მიღებული გრანტით, ხოლო 20%-კი უნივერსიტეტის სტიპენდიით. აგრეთვე, საქართველოს უნივერსიტეტის სკოლების (ფაკულტეტების) სტუდენტები ყოველწლიურად იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა კონკურსებსა და ოლიმპიადებში, სადაც იკავებენ წამყვან პოზიციებს.

ხელმისაწვდომი სწავლების საფასური

საქართველოს უნივერსიტეტის ერთ-ერთი კონკურენტული უპირატესობა, მისი ხელმისაწვდომი სწავლების საფასურია, რომელიც გათვლილია ნიჭიერ ახალგაზრდებზე,

რომლებსაც არ გააჩნიათ საშუალება მიიღონ საზღვარგარეთ განათლება. მათ საშუალება ეძლევათ საკუთარ ქვეყანაში ეზიარონ დასავლური სტანდარტების შესაბამისი სასწავლო პროგრამებსა და გამოცდილებას. საფასო პოლიტიკა უნივერსიტეტში ყოველწლიურ განხილვას ექვემდებარება და იგი დგინდება სხვადასხვა გარე და შიდა ცვლადების გათვალისწინებით, როგორცაა: ინფლაციის წლიური მაჩვენებელი, საგანმანათლებლო ბაზრის მოთხოვნები, მისაღებ აბიტურიენტთა რაოდენობა, სასწავლო პროგრამების სპექტრი, მომხმარებელთა გადამხდელუნარიანობა, კონკურენცია და სხვა.

ძირითადი და დამატებითი სპეციალობები

საქართველოს უნივერსიტეტს გააჩნია როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სპეციალობების ფართო სპექტრი, რაც სტუდენტს აძლევს საშუალებას მიიღოს მრავალმხრივი განათლება არაპირდაპირ ან მონათესავე სპეციალობებში. აღნიშნული შემოთავაზება შემუშავებულ იქნა მას შემდეგ, რაც დასაქმების ბაზარზე მოთხოვნა გაიზარდა დამატებითი სპეციალობის მქონე კურსდამთავრებულებზე. საქართველოს უნივერსიტეტი მუდმივ მონიტორინგს უწევს სხვადასხვა სამეწარმეო თუ საჯარო სექტორის დასაქმების მოთხოვნებს.

სტუდენტური ცხოვრება

უნივერსიტეტში აქტიური სტუდენტური ცხოვრებაა, რაც განპირობებულია მისი გამართული ინფრასტრუქტურით, სტუდენტთა რაოდენობითა და დაგეგმილი ღონისძიებების სიმრავლით. დასავლური სტანდარტების გათვალისწინებით შემუშავებულმა სტუდენტური თვითმართველობის ფორმამ, რომელიც შემოქმედებით თვითგამოვლენასა და სტუდენტების მაქსიმალურ ჩართულობაზეა გათვლილი, განაპირობა სპეციფიური კლუბების სიმრავლე, როგორცაა: ექსტრემალური სამთო-სათხილამურო, კინოსა და თეატრის, ლიტერატურული, სპორტული კლუბები და სხვა.

აგრეთვე, სასწავლო პროცესის პარარელურად, სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი სპორტულ აქტივობებში, რაც ხელს უწყობს მათი ლიდერული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და გუნდური მუშაობის განვითარებას.

მართვის ელექტრონული სისტემა

უნივერსიტეტის სასწავლო პროცესი ცენტრალიზებული ელექტრონული მართვის სისტემით ფუნქციონირებს, რაც სტუდენტებს აძლევს საშუალებას მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია მათი სასწავლო პროცესის, აკადემიური მოსწრების შედეგებისა და სხვადასხვა დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. ელექტრონული მართვის სისტემის დანერგვით ადვილად არის შესაძლებელი ინფორმაციის სწრაფი გავრცელება და უკუკავშირის დამყარება.

საფრთხე

კონკურენციის ზრდა

უნივერსიტეტის ერთ-ერთ საფრთხეს საგანმანათლებლო ბაზარზე არსებული კონკურენციის ზრდა წარმოადგენს, რაც განპირობებულია პირდაპირი და არაპირდაპირი კონკურენტი უნივერსიტეტების ტექნოლოგიური და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებით. აგრეთვე, საფრთხეს წარმოადგენს მათ მიერ შემუშავებული ანტი-პიარისტული კამპანია, რომელიც უმეტესწილად გამიზნულია ცრუ ინფორმაციის გავრცელებაზე.

ეკონომიკური და პოლიტიკური ფლუქტუაციები

უნივერსიტეტის გარე ფაქტორი, რომელსაც შეუძლია სტრატეგიულ მიზნებსა და შედეგებზე გავლენის მოხდენა, ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენებია.

სტუდენტთა და მშობელთა უკმაყოფილების ზრდა

შიდა ფაქტორი, რომლის მიხედვითაც იზომება უნივერსიტეტის სასწავლო თუ არასაწავლო საქმიანობის შედეგები, სტუდენტთა და მშობელთა უკმაყოფილების მაჩვენებელია. უნივერსიტეტი ყოველსემესტრულად ახორციელებს სტუდენტებსა და მშობლებში გამოკითხვას, რომლის შედეგების მიხედვით დგინდება თუ რამდენად არის მათთვის მისაღები სასწავლო პროგრამა, ინფრასტრუქტურა და სტუდენტური ცხოვრება.

შესაძლებლობები

ცნობადობის ზრდა

საქართველოს უნივერსიტეტმა ბოლო 2 წლის განმავლობაში განახორციელა პირდაპირი მარკეტინგული ინსტრუმენტების გამოყენება მის პოტენციურ მომხმარებლებზე და განახორციელა აგრესიული პიარ-კამპანია, რაც გამიზნული იყო მეტი სტუდენტების მოზიდვასა და ცნობადობის გაზრდაზე. უნივერსიტეტი ყოველსემესტრულად გეგმავს ტაქტიკურ მარკეტინგულ და პიარ სტრატეგიებს, რომელიც გათვლილია როგორც აბიტურიენტთა და მშობელთა, ისე საშუალო სკოლის დირექტორებსა და პედაგოგებს შორის მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე. აგრეთვე, უნივერსიტეტი ზრუნავს პირველკურსელთა დაკვალიანებაზე, მიზნად ისახავს მათთვის სასწავლო პროცესის, ინფრასტრუქტურისა და სტუდენტური აქტივობების გაცნობას. ცნობადობის ზრდას აგრეთვე, ხელს უწყობს წარმატებულ კურსდამთავრებულთა რაოდენობა, რომლებიც დადებითად აფასებენ უნივერსიტეტში მიღებულ განათლებასა და გამოცდილებას. მომდევნო წლების განმავლობაში საქართველოს უნივერსიტეტის ამოცანა იქნება შეინარჩუნოს სასწავლო პროგრამების ხარისხი, გაზარდოს ცნობადობა საზოგადოებაში, განავითაროს ინფრასტრუქტურა, გაცვლითი პროგრამები და შესთავაზოს აბიტურიენტებს უფრო მეტი, ვიდრე ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლება.

საერთაშორისო კავშირები

საქართველოს საგანმანათლებლო ბაზარზე ტენდენციურად იზრდება უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა, რაც განპირობებულია სხვადასხვა უნივერსიტეტებთან საერთაშორისო კავშირების გამყარებითა და აკადემიური ურთიერთობების ჩამოყალიბებით. საქართველოს უნივერსიტეტის ტექნოლოგიური აღჭურვილობა, უნივერსიტეტის საერთო ფართი და მატერიალური ბაზა მზად არის იმისათვის რომ მომდევნო 6 წლის განმავლობაში გაზარდოს უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა და თითქმის გაუთანაბროს ადგილობრივ სტუდენტთა რაოდენობას. აგრეთვე, საერთაშორისო ასპარეზზე აკრედიტაციის მოპოვება და ბოლონის პროცესში ჩართვა უზრუნველყოფს გაცვლითი პროგრამების სიმრავლესა და საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტების უფრო მეტ ჩართულობას.

ინფრასტრუქტურის განვითარება

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა მთლიანად შეესაბამება დასავლურ სტანდარტებს და იგი უქმნის სტუდენტებს კომფორტულ გარემოს ხარისხიანი სწავლების მისაღებად, მომდევნო 6 წლის განმავლობაში მისი ამოცანა იქნება დააკმაყოფილოს თანამედროვე სასწავლო ბაზრის მოთხოვნები და კორპუსებს შორის პარკის მოწყობით გააფართოვოს არსებული სასწავლო არეალი. მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის დამატებითი მომსახურების ობიექტების, როგორცაა: (სამშალო სკოლა, საბავშვო ბაღი, წიგნების მაღაზია, ტრეინინგ ცენტრი, სპორტული სკოლა, ენების ცენტრი, სასადილო „ხადილი“, ავეჯის საწარმო, გამომცემლობა) ცალკეული განვითარება, რომელიც უნივერსიტეტისაგან დამოუკიდებლად მიაღწევს ფინანსურ მდგრადობასა და პოპულარიზაციას.

ალიანსების ჩამოყალიბება

ალიანსების სიმრავლე და მისი გაფართოვება მნიშვნელოვან როლს თამაშობს უნივერსიტეტის განვითარებაში. საქართველოს უნივერსიტეტს აქვს მჭიდრო კავშირი სხვადასხვა სამეწარმეო თუ არასამეწარმეო ორგანიზაციებთან, რომელთა მეშვეობით საქმდებიან წარმატებული კურსდამთავრებულები და ერთობლივად ხორციელდება სხვადასხვა პროექტები, ტრეინინგები, სემინარები და სხვა აქტივობები.

დისტანციური განათლების პლატფორმა

თანამედროვე დასავლური საგანმანათლებლო ბაზრის ერთ-ერთი გამოწვევა დისტანციური განათლების პლატფორმის შექმნაა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო პირების მოზიდვას. დისტანციური პლატფორმის მექანიზმი აგებულია იმგვარად, რომ მას აქვს შესაძლებლობა დააკმაყოფილოს როგორც ინდივიდუალური პირების მოთხოვნები (ტრენინგ კურსების შეთავაზება, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები) ასევე ჯგუფური მოთხოვნები. სისტემა მუშაობს ე.წ ვიდეო დამრიგებლის მეშვეობით, რომელიც სთავაზობს დაინტერესებულ პირს აირჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო პროგრამა (ან ტრენინგ კურსი) და ონლაინ რეჟიმში გაიაროს სწავლება. აღნიშნული პლატფორმის განვითარება საქართველოს უნივერსიტეტს საშუალებას მისცემს საერთაშორისო ასპარეზზე გაზარდოს ცნობადობა და გახდეს უფრო ხელმისაწვდომი.

სისუსტეები

არაზუსტი ბრენდ იდენტიფიცირება

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს უნივერსიტეტს გააჩნია წილი ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში და მისი ერთ-ერთი მეწილე შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრორექტორია, მომხმარებლებში ხშირად ხდება მისი არაზუსტი იდენტიფიცირება და გაიგივება სხვადასხვა კერძო უმაღლეს სასწავლებლებთან. აგრეთვე, საქართველოს უნივერსიტეტის დასახელება ხშირად იდენტიფიცირდება საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტთან (სეუ). ამგვარად, მნიშვნელოვანია არამარტო ბრენდის დამკვიდრება საგანმანათლებლო ბაზარზე, არამედ საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირება როგორც ხელმისაწვდომ და ხარისხიან განათლებასთან, რაც გრძელვადიანი მიზნის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა.

2011–2012 წლებში ჩატარებულმა კვლევამ, რომელიც თბილისის საშუალო სკოლების მე-12 კლასელთა შორის ჩატარდა, დაადგინა რომ ბრენდ იდენტიფიცირება 58%-ით არის გაუმჯობესებული წინა წლებთან მიმართებაში. აღნიშნული გაუმჯობესებული პროცენტული მაჩვენებელი მიღწეულ იქნა საქართველოს უნივერსიტეტის აქტიური მარკეტინგული კამპანიით, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა პიარ-არხების გამოყენებას.

გადასულ და გარიცხულ სტუდენტთა მიერ გავრცელებული ცრუ ინფორმაცია

საქართველოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესი მიზნად ისახავს აღზადროს ღირსეული პროფესიონალები, რომლებიც სახელს დაიმკვიდრებენ თავიანთ სფეროში როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. ამ მიზნის მისაღწევად, საქართველოს უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამები იმგვარად არის შედგენილი, რომ კურსდამთავრებულებს ქონდეთ ყველა ის თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები რაც პასუხობს დღევანდელი დასაქმების ბაზრის გამოწვევებს. სამწუხაროდ, ჩარიცხულ სტუდენტთა გარკვეულ რაოდენობას არ გააჩნია შესაბამისი ზოგადი და ტექნიკური უნარი,

რათა ბოლომდე დაძლიოს სასწავლო პროგრამა. ამგვარად, ყოველწლიურად ხდება სტუდენტთა გადასვლა/გარიცხვა, რაც ბოლო წლების განმავლობაში უარყოფითად აისახა საზოგადოების ცნობიერებაზე საქართველოს უნივერსიტეტის მიმართ. ისინი ხშირად ავრცელებენ ცრუ უარყოფით ინფორმაციას სასწავლო პროცესისა თუ საუნივერსიტეტო ცხოვრების შესახებ და ამით ცდილობენ საკუთარი წარუმატებლობის გამართლებას. ამგვარად, პირდაპირი კავშირი საშუალო სკოლის მე-12 კლასელებთან საშუალებას მისცემს საქართველოს უნივერსიტეტს, რომ იყოს პირველწყარო ზუსტი ინფორმაციის გავრცელებისას.

სასწავლო დაწესებულების მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული დასახლება

უნივერსიტეტის გარემოში არსებული უსახური დასახლება მნიშვნელოვნად აფერხებს უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული ტერიტორიების გაერთიანებასა და განვითარებას. მომდევნო 6 წლის განმავლობაში იგეგმება მოცემული ტერიტორიის გამოსყიდვა და საუნივერსიტეტო სკვერად გარდაქმნა, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის უნივერსიტეტის საერთო იერსახეს და დააკავშირებს ერთმანეთთან ცალკეულ სასწავლო კორპუსებს.

კონკურენტთა ანალიზი

უნივერსიტეტების სტრატეგიის განვითარებისა და მისი მიზნების მისაღწევად ძირითად კომპონენტს წარმოადგენს კონკურენტული გარემოს შესწავლა და მისი გამოძვევი ფაქტორების ანალიზი. გარდა ამისა, უნივერსიტეტი წარმატებულია მაშინ, როდესაც მას აქვს კარგად შემუშავებული სტრატეგიული გეგმა. ეს პროცესი მას საშუალებას აძლევს ზუსტად და მიზნობრივად გათვალისწინოს მისი პირდაპირი კონკურენტების რაოდენობა და თავიდან აიცილოს მოსალოდნელი საფრთხეები. იმისათვის, რომ შეიქმნას ჯანსაღი კონკურენტული გარემო, საჭიროა შეისწავლილ იქნას კონკურენტი უნივერსიტეტები, განისაზღვროს მათი პროგრამები და აქტივობები, რომელიც მას პირდაპირ კონკურენციას უწევს. აგრეთვე, ობიექტურად შეაფასონ საკუთარი პოზიცია, სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, და სხვა რელევანტური ინფორმაცია.

საქართველოს უნივერსიტეტი ბაზარზე იკავებს მნიშვნელოვან და კონკურენტუნარიან პოზიციას, რაც გამოწვეულია, მისი მრავალმხრივი და საერთაშორისო სტანდარტებზე დამყარებული სასწავლო პროგრამებითა და მარკეტინგული აქტივობებით. გარდა ამისა, საქართველოს უნივერსიტეტის თითოეული სკოლა (ფაკულტეტი), გამოირჩევა საკუთარი სწორად გათვლილი ადმინისტრაციული სტრუქტურით, რომელსაც გააჩნია მისი პროგრამების პირდაპირი კონკურენტი და მომხმარებელი. ამგვარად, დაგეგმვისას უნივერსიტეტის თითოეული სკოლა და დეპარტამენტი ახდენს საკუთარი სპეციფიკური კონკურენტული ანალიზის შემუშავებას, რაც დაგეგმვის პროცესს მეტად პროდუქტიულს ხდის. საბოლოოდ კი მიიღება უნივერსიტეტის ერთიანი განვითარების გეგმა.

თითოეულ სკოლასა და დაეპარტამენს გააჩნია საკუთარი შეფასების კრიტერიუმები, რომელიც საბოლოოდ განსაზღვრავს მიზნის მიღწევის რელევანტურობას. გარდა ამისა, მათ შესაძლებლობა აქვთ კონკურენტი უნივერსიტეტების სამოქმედო გეგმის მიზნობრივი შეფასებისა და ანალიზის. აგრეთვე, უნივერსიტეტი ახორციელებს საბაზრო მოთხოვნებისა და კონიუქტურის შესწავლას, რომელიც განაპირობებს ყოველწლიურად საფასო პოლიტიკის ცვლილებას, სასწავლო პროგრამების გაფართოვებასა და სტუდენტთა რაოდენობის ზრდას.

უმადლეს საგანმანათლებლო ბაზარზე კუნკურენტთა ანალიზის ფარგლებში ხდება სხვა სასწავლო დაწესებულებების განვითარების შეფასება. მიმდინარე პროცესი ზუსტად აღწერს წარმოქმნილ საბაზრო ცვლილებებს, პირდაპირი და არაპირდაპირი კონკურენტების განვითარების დონეს, მარკეტინგისა და საგანმანათლებლო სერვისების ზრდას, რომელსაც გავლენას ახდენს უნივერსიტეტის ტაქტიკური გეგმის შემუშავებაზე.

საქართველოს უნივერსიტეტის კონკურენტი უნივერსიტეტები (გათვალისწინებულია 2014 წლის საგანმანათლებლო ბაზარზე არსებული უნივერსიტეტები)

პირდაპირი კონკურენტები:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ)
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
3. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
4. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
5. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი (სდასუ)
6. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი „ალმა-მატერი“
7. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
8. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
9. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
10. ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი
11. კავკასიის უნივერსიტეტი
12. გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი
13. სასწავლო უნივერსიტეტი (სეუ)
14. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)

არაპირდაპირი კონკურენტები:

1. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
2. აიბი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი
3. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
4. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
5. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

6. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. ქუთაისი)
7. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
8. ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (ქ. ახალციხე)
9. ქუთაისის უნივერსიტეტი (ქ. ქუთაისი)
10. პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია
11. ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტი (ქ. ზუგდიდი)
12. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი
13. სსიპ – სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
14. სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი
15. საერთაშორისო ურთიერთობების სასწავლო უნივერსიტეტი
16. სასწავლო უნივერსიტეტი "რვალი"
17. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. თელავი)
18. საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა სასწავლო უნივერსიტეტი
19. ახალქალაქის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება-კოლეჯი (ქ.ახალქალაქი)
20. შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი
21. თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი "ჰიპოკრატე"
22. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
23. სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
24. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. ბათუმი)

სტრატეგიული მიზნებისათვის მისაღწევი საჭირო რესურსები

სასწავლო პროგრამები

საქართველოს უნივერსიტეტის თითოეული სკოლის მისია, მიზნები და განხორციელების გზები შეესაბამება უნივერსიტეტის ერთიანი განვითარების სტრატეგიას. ვინაიდან თითოეულ სკოლას ყავს თავისი სეგმენტირებული მომხმარებელი, მათ ცალკეულად ჩამოყალიბებული აქვთ სკოლის მისია, მიზნები და მათი განხორციელების გზები, რომელიც ჰარმონიზებულია უნივერსიტეტის მისიასთან და განვითარების ზოგად მიზნებთან.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა

სკოლის მისია:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის მისიაა აღზარდოს მაღალი სოციალური ცნობიერებისა და დემოკრატიული ღირებულებების მქონე პროფესიონალი, ანალიტიკური, კრიტიკული და კომუნიკაციური უნარებით, რომელიც მზად იქნება განსხვავებული კულტურების გაგებისა და პატივისცემისათვის; მისცეს მას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ფუნდამენტური ცოდნა ისტორიის, ანთროპოლოგიის, არქეოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობისა და ფილოლოგიის სფეროებში; განუვითაროს შემოქმედებითად აზროვნების, სამეცნიერო კვლევების წარმართვისა და ახალი ცოდნის შექმნის უნარი. გამოუმუშავოს ის ღირებულებები, რომლებიც განაპირობებენ მისი პროფესიული ცოდნისა და მეცნიერული მიღწევების გამოყენებას საკუთარი ქვეყნისა და კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

სკოლის მიზანი:

სკოლის მიზანი მისი მისიიდან მომდინარეობს და მიმართულია, შექმნას ყველა პირობა სწავლებისა და მეცნიერული კვლევების თანამედროვე მეთოდების დასაწერად. კერძოდ:

- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგში დანერგილი თანამედროვე პრინციპების გაზიარება და სასწავლო პროცესთან სინქრონიზება;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ძირითადი და დამატებითი სპეციალობების სპექტრის გაზრდა თანამედროვე საბაზრო მოთხოვნებზე დაყრდნობით;
- განსაზღვროს სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის პრიორიტეტები და პოსტპრიორიტეტები და მათი განხორციელების ინდიკატორები;
- უზრუნველყოს სასწავლო პროცესი თანამედროვე, მაღალპროფესიული აკადემიური კადრებითა და რელევანტური პრაქტიკული სამუშაოებით,
- ხელი შეუწყოს პროფესურისა და სტუდენტთა მაქსიმალურ თვითრეალიზაციას;
- შეისწავლოს შრომის თავისუფალი ბაზრის მოთხოვნები და მასთან შესაბამისად განსაზღვროს პროფესიული კრიტერიუმები;

- იზრუნოს პროფესიული თვალსაზრისით მაქსიმალურად კონკურენტუნარიან სპეციალისტთა და მკვლევართა მომზადებაზე;
- მოამზადოს ინტერდისციპლინური და საერთაშორისო საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები.

განხორციელების გზები:

- სემინარები, ტრენინგები, საჯარო ლექციები;
- აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის უწყვეტი კავშირის არსებობა;
- აკადემიური პერსონალის პროფესიული ზრდის ხელშეწყობა;
- ევროპისა და ამერიკის საუკეთესო უნივერსიტეტების გამოცდილების ინტეგრირება სასწავლო-სამეცნიერო პროცესში;
- სალექციო კურსებში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება;
- ახალი, თემატურად აქტუალური სალექციო კურსების მომზადება;
- სწავლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) დახვეწა, თანამედროვე მოთხოვნებთან მაქსიმალური ადაპტაცია და მუდმივი განახლება ცვლილებების შესაბამისად.
- ორმაგი ხარისხისა და გაცვლითი პროგრამები უცხოეთის უნივერსიტეტებთან;
- თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ლინგვაფონური ცენტრის არსებობა;
- უცხოელი სპეციალისტების მოწვევა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე და სკოლის აკადემიური პერსონალის სტაჟირება უცხოეთში;
- ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება;
- პრაქტიკული სამუშაოებისათვის საველე კვლევითი ბაზის მოწყობა, სადაც სტუდენტი დახელოვნდება პროფესიაში.

მათემატიკისა და ინფორმატიკის სკოლა

სკოლის მისია:

მათემატიკისა და ინფორმატიკის სკოლის მისიაა აღზარდოს სამოქალაქო ღირებულებების მქონე ახალგაზრდები და მისცეს მათ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ცოდნა მათემატიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით. აღნიშნულ სფეროებში განუვითაროს შემოქმედებითი აზროვნების უნარი, რომელიც მათ შესაძლებლობას მისცემს მათემატიკისა და თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების მრავალმხრივი მიმართულებით აწარმოონ მეცნიერული კვლევები და გააფართოვონ ცოდნის საზღვრები. ამავდროულად, ახალგაზრდებში განავითაროს ისეთი ზოგადსაკაცობრიო და ჰუმანური ღირებულებები, რომლებიც მათ მეცნიერულ თუ პროფესიულ ცოდნასა და უნარებს კაცობრიობის საკეთილდღეოდ წარმართავს.

სკოლის მიზანი:

მათემატიკისა და ინფორმატიკის სკოლის მიზანია უზრუნველყოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პროფესიული, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო სწავლება. მისცეს სტუდენტებს მათემატიკისა და თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების სრულყოფილი ცოდნა, გამოუმუშავოს სოციალური სფეროს სხვადასხვა დარგში არსებული ამოცანების დასმის, ანალიზის, მათემატიკური აპარატის შერჩევისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევები. უზრუნველყოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პროგრამების შედგენა და არსებულის განვითარება, კონკურენტუნარიანი ახალგაზრდების აღზრდა, რომლებიც ღირსეულ ადგილს დაიკავებენ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე.

განხორციელების გზები:

- მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წამყვან უნივერსიტეტებთან კავშირის დამყარება;
- მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში, რომლებიც დაფუძნებული იქნება პროფესიული ცოდნის გაზიარებასთან, თანამედროვე მეთოდებისა და უნარ-ჩვევების დანერგვასთან;
- მათემატიკისა და ინფორმატიკის სხვადასხვა დარგში სამეცნიერო კონფერენციებისა და სემინარების ჩატარება;
- მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის მოწვევა;
- მათემატიკისა და ინფორმატიკის მრავალმხრივი მიმართულებით თანამედროვე ლიტერატურის მუდმივი განახლება;
- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების აქტიური ჩაბმა საუნივერსიტეტო სამეცნიერო, კვლევით პროექტებში;
- უახლესი აპარატურითა და ინფრასტრუქტურით აღჭურვა;
- მემორანდუმების გაფორმება სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ კურსდამთავრებულთა დასაქმებას.

სამართლის სკოლა

სკოლის მისია:

სამართლის სკოლის მისიაა მოამზადოს მაღალი დონის იურისტი, რომელსაც ექნება შესაბამისი კვალიფიკაცია, საფუძვლიანი თეორიული ცოდნა და ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; განუვითაროს ახალგაზრდებს ანალიტიკური აზროვნება, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს არა მარტო ისწავლონ, არამედ განახორციელონ მეცნიერული კვლევები სამართლის ძირითად დარგებში. ეს კი თავისთავად ხელს შეუწყობს სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესსა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.

სკოლის მიზანი:

სამართლის სკოლის მიზანია, აღზარდოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები სამართლის სფეროში, დაამკვიდროს განათლების მაღალი სტანდარტი და, მოთხოვნის შესაბამისად, მუდმივად განავითაროს საგანმანათლებლო პროგრამები, ხელი შეუწყოს სამართლის სკოლის კურსდამთავრებულს მოახდინოს ცოდნის რეალიზაცია შრომით ბაზარზე. სამართლის სკოლა თავის სტრატეგიულ ამოცანად მიიჩნევს სრულყოფილად დანერგოს სწავლების თანამედროვე მეთოდები, გააუმჯობესოს სასწავლო-სამეცნიერო და აღმზრდელობითი პროცესი. ამ მიზნის მიღწევას ხელს შეუწყობს პროფესიული, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დახვეწა.

განხორციელების გზები:

- ურთიერთობის დამყარება საქართველოს და საზღვარგარეთის წამყვან საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
- მემორანდუმების გაფორმება სხვადასხვა წამყვან ორგანიზაციებთან;
- მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოწვევა;
- საუკეთესო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა;
- სტუდენტების ინიციატივის ხელშეწყობა;
- იურიდიული ლიტერატურის მუდმივი განახლება;
- იმიტირებული სასამართლო პროცესები;
- სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების და კოლოქიუმების ჩატარება სამართლის სხვადასხვა დარგში;
- იურიდიული კლინიკები.

სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

სკოლის მისია:

სოციალურ მეცნიერებათა სკოლის მისიაა აღზარდოს თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი საზოგადოებასთან ურთიერთობის და რეკლამის, საერთაშორისო ურთიერთობების, ჟურნალისტიკის, ფსიქოლოგიისა და პოლიტიკის მეცნიერებების მკვლევარები და პროფესიონალები, რომლებსაც ექნებათ შემოქმედებითი აზროვნება და მეცნიერების შესაბამის დარგებში კვლევების წარმოებისა და ცოდნის გაფართოვების უნარ-ჩვევები. ადამიანები, რომელთა სამეცნიერო თუ პროფესიული საქმიანობა მიმართული იქნება საკუთარი ქვეყნისა და კაცობრიობის საკეთილდღეოდ და რომლებიც შექმნიან საქართველოში პატიოსან, პატრიოტ და მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა ახალ თაობას.

სკოლის მიზანი:

სოციალურ მეცნიერებათა სკოლის მიზანია, მის მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით, ხელი შეუწყოს პროფესიონალიზმის უმაღლესი სტანდარტების განვითარების პროცესს საქართველოსა და რეგიონში. შექმნას ყველა საჭირო პირობა სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობისთვის, მიიღოს მონაწილეობა და განახორციელოს ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტები, კერძოდ:

- უზრუნველყოს სასწავლო პროცესი თანამედროვე, მაღალპროფესიული აკადემიური პერსონალით, პრაქტიკული სამუშაოებით და უახლესი ტექნიკური აღჭურვილობით;
- საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების მუდმივი მონაწილეობა სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით;
- განსაზღვროს სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის პრიორიტეტები და მათი განხორციელების ინდიკატორები;
- შეისწავლოს დასაქმების ბაზრის მოთხოვნები და მასთან შესაბამისად განსაზღვროს პროფესიული კრიტერიუმები;
- იზრუნოს პროფესიული თვალსაზრისით მაქსიმალურად კონკურენტუნარიან სპეციალისტთა და მკვლევართა მომზადებაზე;
- მოამზადოს ინტერდისციპლინური და საერთაშორისო საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები.

განხორციელების გზები:

- აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის მუდმივი კომუნიკაციის შესაძლებლობა;
- აკადემიური პერსონალის პროფესიული ზრდის ხელშეწყობა;
- დასავლეთის წარმატებული უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარება სასწავლო-სამეცნიერო პროცესში;
- პრაქტიკული სამუშაოების შესრულებისას და სალექციო კურსებში უახლესი ტექნოლოგიების და ტექნიკური აღჭურვილობების გამოყენება;
- მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებებთან შესაბამისობაში ახალი სალექციო კურსების და მასალების მომზადება;
- ორმაგი ხარისხისა და გაცვლითი პროგრამები უცხოეთის უნივერსიტეტებთან;
- მედია ცენტრების, სამაუწყებლო და ბეჭდური სტუდენტური მედიების განვითარება;
- სწავლების ყველა საფეხურის პროგრამებზე უცხოელი სპეციალისტების მოწვევა;
- საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან/ინსტიტუციებთან ერთობლივი პროექტების განხორციელება და მასში აკადემიური პერსონალის და სტუდენტების ჩართულობა;
- სამეცნიერო და პროფესიული კონფერენციების, სემინარების და უორკშოპების ორგანიზება

ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა

სკოლის მისია:

აღზარდოს ჯანმრთელობის დაცვის სფეროს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, მისცეს თანამედროვე ცოდნა, განუვითაროს სამეცნიერო-კვლევითი აზროვნება და უნარები, ხელი შეუწყოს მათ კარიერულ ზრდას და უწყვეტ განათლებას როგორც მეცნიერულ-პედაგოგიური, ასევე გამოყენებითი პრაქტიკული თვალსაზრისით, რაც გააფართოვებს არსებული ცოდნის საზღვრებს, საშუალებას მისცემს ადამიანებს იღვაწონ როგორც საკუთარი ქვეყნის, ისე ზოგადად კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

სკოლის მიზანი:

- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, საექთნო საქმისა და ჯანდაცვის ადმინისტრირების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განვითარება და საერთაშორისო აღიარება;
- ფარმაციისა და სტომატოლოგიური პროგრამების შემუშავება საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებისათვის;
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, ჯანდაცვის ადმინისტრირებისა და საექთნო საქმის სფეროში პროფესიონალური კომპეტენციის ამაღლების მოკლევადიანი და უწყვეტი განათლების სასერთიფიკატო კურსების შემუშავება- ჩატარება;
- ადამიანური რესურსების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და მეცნიერების განვითარება.

განხორციელების გზები:

- საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის ადმინისტრირების სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამებზე უწყვეტად კონტიგენტის მიღება;
- საჭირო ადამიანური, ტექნიკური და მატერიალური რესურსის ალოკაცია ფარმაციისა და სტომატოლოგიური პროგრამების შესაქმნელად;
- მიზნობრივი კომუნიკაცია და პიარი;
- პროგრამების განვითარება და გაუმჯობესება;
- უცხოელი ლექტორების მოწვევა ;
- კურიკულუმების გაუმჯობესება და საერთაშორისო ასოციაციების მიერ მათი შეფასება, გამოხმაურება;
- ლიტერატურის ქართულ ენაზე გამოცემა სალექციო კურსების ან წიგნების სახით;
- მემორანდუმების გაფორმება მაღალი რეიტინგის უნივერსიტეტებთან;
- საუკეთესო პრაქტიკისა და გაცვლითი კურსების გატარება სტუდენტებისათვის;
- პრაქტიკები საუკეთესო კლინიკასა და სადაზღვევო კომპანიებში;
- მოკლევადიანი სასერთიფიკატო კურსები;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება უშუალოდ საუნივერსიტეტო აღჭურვილობის შეძენისა და ასევე პროვაიდერ-კლინიკებთან, სადაზღვევო

ინდუსტრიასა და სხვა უნივერსიტეტებთან შესაბამისი მემორანდუმებისა და ხელშეკრულების გაფორმების გზით.

ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის სკოლა

სკოლის მისია:

ხელი შეუწყოს შემოქმედებითი და კვლევითი უნარების განვითარებას, რაც შესაძლებლობას მისცემს ამ სკოლის კურსდამთავრებულებს ჩამოყალიბდნენ ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროს წარმატებულ მეცნიერ-მკვლევარებად და გააფართოვონ აღნიშნული დარგის ცოდნის საზღვრები, როგორც საკუთარი ქვეყნის, ისე ზოგადად კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

სკოლის მისია მოიცავს ბიზნესის სფეროში ცოდნის დაგროვებასა და გადაცემას, საზოგადოების კულტურულ განვითარებასა და ზნეობრივ აღზრდას, რაც თანამედროვე დამოუკიდებელი აზროვნებისა და ინოვაციური იდეების წახალისების საწინდარია; კონკურენტუნარიან გარემოში პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვასა და საერთაშორისო სამეცნიერო თუ აკადემიური კავშირებისა და თანამშრომლობის განვითარებას.

სკოლის მიზანი:

აღზარდოს ამ სფეროში თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ცოდნის მქონე პროფესიონალები, რომლებიც იქნებიან კონკურენტუნარიანნი მსოფლიო შრომის ბაზარზე და წარმატებით გაართმევენ თავს როგორც კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციების მართვას, ისე ეკონომიკაში, ფინანსებსა და ბიზნესში სახელმწიფო პოლიტიკისა და ბიზნეს სტრატეგიების შემუშავებას.

სტუდენტს განუვითაროს სამეწარმეო უნარი, გამოუმუშავოს მეწარმისთვის საჭირო თვისებები, რათა შეძლოს ეკონომიკური პროცესებისა და საბაზრო ტენდენციების განსაზღვრა, პროგნოზირება და ამ ცოდნის საფუძველზე საკუთარი ბიზნეს-საქმიანობის დამოუკიდებლად დაგეგმვა.

ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის სკოლის მიზანია, მისი კურსდამთავრებულები იყვნენ ლიდერები თავიანთი საქმიანობის სფეროში.

მიზნის განხორციელების გზები:

- კავშირი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებთან, მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში, რომლებიც დაფუძნებული იქნება პროფესიული ცოდნის გაზიარებასთან და ამაღლებასთან;

- გაგრძელდეს სტუდენტებისათვის საჭირო სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე გამოცემა, მოხდეს გამოცემული სახელმძღვანელოების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად განახლება და გაუმჯობესება;
- სკოლის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების აქტიური ჩაბმა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კვლევით პროექტებში;
- არსებული ბიზნეს ინკუბატორის განვითარება, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტთა სამეწარმეო ინიციატივებს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ინჟინერიის სკოლა

სკოლის მისია

აღზარდოს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, მაღალი კომპეტენციებისა და უნივერსალური განათლების მქონე კადრები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და ინჟინერიაში, შექმნას ახალი ცოდნა და ამ ცოდნაზე დაფუძნებული მეცნიერული პროდუქტი, თავისი წვლილი შეიტანოს საქართველოში ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში, აღზარდოს საზოგადოებისთვის საჭირო მაღალი მორალური ღირებულებების მქონე პროფესიონალები, სტუდენტებს მისცეს ის ცოდნა და უნარები, რაც მათ დაეხმარებათ მომავალში კარიერულ წინსვლასა და პროფესიული პრობლემების ანალიზის, გადაწყვეტილების მიღებისა და გადაჭრის გზების მოძიებაში.

სკოლის მიზანია

უზრუნველყოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სწავლება, შეასწავლოს ფიზიკისა და მათემატიკის საფუძვლები, თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიები, ფიზიკური ამოცანების დასმის, ანალიზისა და ამოხსნის უნარ-ჩვევები. გამოუმუშავოს სტუდენტებს რეალურ სიტუაციებში პრობლემის მოდელის აგების, მისი მათემატიკური აპარატის შერჩევისა და თანამედროვე ტექნოლოგიებით პრობლემის გადაჭრის გზების მოძიების უნარ-ჩვევები. მისცეს ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები საინჟინრო ფიზიკის სპეციალობებში, განავითაროს საინჟინრო ფიზიკის ისეთი დარგები და მიმართულებები, როგორცაა ელექტრონული ინჟინერია, კომპიუტერული ინჟინერია, სისტემური ინჟინერია, ტელეკომუნიკაცია, კომპიუტერული მოდელირება, ინტეგრალური ელექტრონიკა და ფოტონიკა.

განხორციელების გზები:

- ადგილობრივ და უცხოურ უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობა;
- თანამედროვე სასწავლო ლაბორატორიების მოწყობა-განვითარება;
- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასწავლო პროგრამის განვითარება;

- საინჟინრო ფიზიკის საგნების სწავლების ინგლისურენოვანი კომპონენტების გამოყენება, რათა მიიღონ უახლესი ინფორმაცია დარგის განვითარების შესახებ და მომავალში შეძლონ სწავლის გაგრძელება მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში;
- მემორანდუმების გაფორმება სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო კომპანიებთან, სადაც დასაქმდებიან კურსდამთავრებულები.

მატერიალური რესურსი

უნივერსიტეტის წარმატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი მატერიალური რესურსების ეფექტური გამოყენებაა. საქართველოს უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი დამატებითი მომსახურების ობიექტებია. ასეთი ობიექტები ხშირ შემთხვევაში ფინანსურ რესურსადაც შეგვიძლია მოვიაზროთ.

საქართველოს უნივერსიტეტში მატერიალური რესურსების გაუმჯობესების და ეფექტურად გამოყენების მექანიზმს წარმოადგენს ელექტრონული სისტემის, სასწავლო, საფინანსო, იურიდიული, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მატერიალური სამსახურების კოორდინირებული მოქმედებები.

უნივერსიტეტის მატერიალური რესურსებია:

- ✓ ხუთი სასწავლო კორპუსი
- ✓ სპორტული მოედნები
- ✓ ბიბლიოთეკა
- ✓ ლაბორატორიები
- ✓ საგამოფენო და საკონფერენციო დარბაზები
- ✓ ავეჯი და სხვა ინვენტარი
- ✓ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

შენობა-ნაგებობები - საქართველოს უნივერსიტეტის მფლობელობაშია უნივერსიტეტის I, II, III, IV და V (ბათუმი) კორპუსები, რომელთა საერთო სასწავლო ფართი 23 400 კვ. მეტრია. უნივერსიტეტის IV კორპუსი OPIC - ის (საზღვარგარეთის კერძო საინვესტიციო კორპორაცია) დაფინანსებით აშენდა და აღიჭურვა. III და IV კორპუსი უზრუნველყოფილია 24 საათიანი უკაბელო ინტერნეტით. უნივერსიტეტი ზრუნავს, რომ სტუდენტებსა და თანამშრომლებს შეუქმნას კომფორტული, უმაღლეს დონეზე გამართული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გარემო. შენობა-ნაგებობაში განთავსებულია უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორიები, სალექციო აუდიტორიები, ტელე-მედია ცენტრი, საგამოფენო გალერეა და კაფეტერია, რომელიც ყველა პირობას უქმნის სტუდენტს და პერსონალს ისარგებლოს სრული სასწავლო თუ დამატებითი მომსახურებით. შენობის მთლიანი ფართის უმეტესი ნაწილი ეთმობა სალექციო აუდიტორიებსა და თითოეული სკოლის ადმინისტრაციული წარმომადგენლების ოთახებს. შენობა-ნაგებობის ეფექტური გამოყენების მექანიზმი მოიცავს სტუდენტების საერთო რაოდენობის ეფექტურად გადანაწილებას მცირე ჯგუფებში (25-30

კაციანი), რომელსაც უზრუნველყოფს კარგად დაგეგმილი და გაწერილი სასწავლო პროცესის გეგმა. დიდი საგამოცდო დარბაზები უზრუნველყოფს ხარისხიანად და შეუფერხებლად გამოცდების ჩატარებას ერთდროულად 1000-ზე მეტი სტუდენტისათვის. 24 საათიანი ვიდეო-კონტროლი უზრუნველყოფს, როგორც მატერიალური რესურსების დაცვის მექანიზმს, ისე სტუდენტების უსაფრთხოებას. შენობა სამუშაო დღის განმავლობაში მუდმივ ექსპლოატაციაშია და მაქსიმალურად ეფექტურად არის გამოყენებული წარმოებაში. დილის 9 საათიდან - დიდ შესვენებამდე (13:00 -14:00 სთ) შენობა მთლიანად ეთმობა საბაკალავრო სწავლებისთვის განკუთვნილ ჯგუფებს. შუადღის 14:00 საათიდან, სასწავლო აუდიტორიები ეთმობა, როგორც საბაკალავრო, ისე მოკლევადიანი გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული სწავლების სტუდენტებს. საღამოს 19:00 საათიდან მიმდინარეობს სამაგისტრო და სადოქტორო სწავლება.

ბიბლიოთეკა- საქართველოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებსა და თანამშრომლებს სთავაზობს სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის მდიდარ და თანამედროვე კოლექციას, ასევე ელექტრონული წიგნებისა და ჟურნალების ფართო არჩევანს, საინფორმაციო საძიებო სისტემებს EBSCO, JSTOR, Cambridge University Press. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მოიპოვება 30 080 წიგნი, 300 ადგილიანი სამკითხველო დარბაზი და ჯგუფური მუშაობისთვის განკუთვნილი სპეციალიზირებული ოთახები. იგი მთლიანად უზრუნველყოფილია 24 საათიანი უკაბელო ინტერნეტით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ღიაა ყველა დაინტერესებული პირისათვის. ბიბლიოთეკის განვითარება მოიცავს არსებული ფართის გაფართოვებასა და დამატებითი სასწავლო-სამეცნიერო წიგნების კოლექციის გამდიდრებას. ბიბლიოთეკის ეფექტური გამოყენება მოიცავს სტუდენტების უახლესი სამეცნიერო და საგანმანათლებლო მასალით მომარაგებას, რაც მათ დაეხმარება როგორც თეორიული ცოდნის გაღრმავებაში, ასევე კარიერულ წინსვლასა და დასაქმებაში.

ლაბორატორიები- საქართველოს უნივერსიტეტი აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკითა და უახლესი ლაბორატორიებით. ყველა სტუდენტი, თეორიული ცოდნის მიღების პარალელურად, გადის პრაქტიკულ სამუშაოებს, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ტექნიკურ თუ სამეცნიერო დანადგარზე მუშაობას. ლაბორატორიებში მუშაობა სტუდენტს ეხმარება პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაში, რაც ხელს უწყობს შესწავლილი პროგრამის გაღრმავებასა და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდას. სწორედ, თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული სამუშაოების სინთეზის საფუძველზე, საქართველოს უნივერსიტეტი გახდა ლიდერი დასაქმების ბაზარზე.

საქართველოს უნივერსიტეტში ფუნქციონირებს შემდეგი ლაბორატორიები და ცენტრები:

- ✓ Cisco-ს ლაბორატორია
- ✓ ბიოქიმიისა და ანატომიის ლაბორატორია

- ✓ სიმულაციური ლაბორატორია
- ✓ ტელე-მედია ცენტრი
- ✓ ლინგვაფონური ლაბორატორია
- ✓ ფიზიკის ლაბორატორია

ლაბორატორიების სამომავლო განვითარების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს უნივერსიტეტის თითოეული სკოლის სამეცნიერო-დანადგარებითა და საჭირო ტექნიკით აღჭურვას, რაც გაუადვილებს სტუდენტს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გაღრმავებას.

სპორტული მოედნები - საქართველოს უნივერსიტეტის ერთ-ერთი უმნიშველოვანესი პრიორიტეტია ხელი შეუწყოს სტუდენტის როგორც გონებრივ, ასევე ფიზიკურ განვითარებას. ღია და დახურული სპორტული მოედნები, სადაც უნივერსიტეტის სპორტული აქტივობები ტარდება, სწორედ ამ მიზანს ემსახურება. სპორტული მოედნები ხშირად ქირავდება სხვადასხვა ორგანიზაციებზე თუ კერძო პირებზე, რაც უნივერსიტეტის დამატებითი ფინანსური რესურსია. მიღებული შემოსავალი უნივერსიტეტის სპორტული კლუბის გაუმჯობესებას და სპორტსმენებზე ზრუნვას ხმარდება. იმისათვის რომ სპორტული მოედნები მაქსიმალურად ეფექტურად იყოს გამოყენებული და არ მოხდეს მათი უქმად მოცდენა, გარდა იმ საათებისა, როდესაც მოედანი ეთმობა უნივერსიტეტის სტუდენტების სპორტულ აქტივობებს, დანარჩენ დროს ხდება მისი დროებით გაქირავება.

საგამოფენო და საკონფერენციო დარბაზები- საქართველოს უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საგამოფენო და საკონფერენციო დარბაზები, რომლებიც ემსახურება როგორც უნივერსიტეტის სტუდენტებსა და თანამშრომლებს ასევე ნებისმიერ მსურველს ღონისძიებების ორგანიზებაში.

საგამოფენო დარბაზი შეიქმნა იმ მიზნით, რათა დაეხმაროს სტუდენტებს თვითრეალიზებაში და ფართო საზოგადოებას უჩვენოს მათი ნამუშევრები (ნახატები, ხელნაკეთი ნივთები, ლიტერატურული ნაწარმოები და სხვა). საგამოფენო დარბაზი ეფექტურად არის გამოყენებული მისი წყობიდან გამომდინარე, რაც საშუალებას იძლევა დარბაზში ერთბაშად 300-მდე პიროვნების (თეატრალური წყობით) დატევას და გარე დამატებით ფართის არსებობის ხარჯზე ხარისხიანად სტუმრების მომსახურებას კვებითი პროდუქტებით.

საგამოფენო დარბაზი ხშირად უთმობს თავის სივრცეს, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც მართავენ კონფერენციებსა და სემინარებს, რაც ეხმარება უნივერსიტეტს ცნობადობის ზრდასა და პოპულარობაში საერთაშორისო ასპარეზზე.

ტექნიკური რესურსი

საქართველოს უნივერსიტეტს აქვს შემდეგი ტექნიკური რესურსები:

- ✓ IT ცენტრი
- ✓ ZEND Technologies რესურსი

- ✓ Cisco ლაბორატორია
- ✓ მედია ცენტრი და სატელევიზიო სტუდია

IT ცენტრი - IT ცენტრში განთავსებულია 24 საათიანი უკაბელო ინტერნეტით უზრუნველყოფილი 300-ზე მეტი უახლესი კომპიუტერი. უნივერსიტეტში ასევე წარმატებით დანერგულია ელექტრონული სისტემა - ჩემი UG, რომლის მეშვეობითაც სტუდენტები შეუფერხებლად იღებენ მათთვის საინტერესო ნებისმიერ ინფორმაციას საკუთარი აკადემიური მოსწრების, სტუდენტური ცხოვრებისა და სხვა სიახლეების შესახებ.

ZEND Technologies რესურსი - ZEND Technologies არის უმსხვილესი ევროპული კომპანია, რომელთანაც თანამშრომლობის შედაგად საქართველოს უნივერსიტეტი იღებს უახლეს ვებ-ტექნოლოგიებს, ატარებს საერთო ღონისძიებებს და ატრენინგებს თანამშრომლებს. უნივერსიტეტმა კომპანიისგან შეიძინა ერთ-ერთი საუკეთესო პროდუქტი- ZEND სერვერი.

Cisco ლაბორატორია - Cisco სერტიფიკატი მთელ მსოფლიოში აღიარებულია ქსელების განხრით. საქართველოს უნივერსიტეტი ერთადერთი უნივერსიტეტია საქართველოში, რომელიც გასცემს Cisco-ს პირველი ორი დონის (CCNA და CCNP) სერტიფიკატს. სტუდენტებს ეძლევათ უნიკალური საშუალება პრაქტიკული სამუშაოები გაირონ Cisco-ს უახლესი ტექნიკით აღჭურვილ ლაბორატორიაში. ლაბორატორიაში მუშაობა სტუდენტს ეხმარება პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაში, რაც ხელს უწყობს შესწავლილი პროგრამის გაღრმავებასა და სტუდენტის კონკურენტუნარიანობის ზრდას.

Cisco-ს ქსელური აკადემია არის დისტანციური სწავლების პროგრამა, რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს შეიძინონ მნიშვნელოვანი ცოდნა და უნარ-ჩვევები კომპიუტერული ქსელის პროექტირებასა და მის შემდგომ მხარდაჭერაში. ელექტრონული სასწავლო მასალების და ტესტირების სისტემა უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის მიღებას, ხოლო Cisco-ს უახლეს ქსელურ აპარატურით დაკომპლექტებული ლაბორატორიაში განხორციელებული ლაბორატორიული მეცადინეობები უზრუნველყოფს მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარების განვითარებას. საქართველოს უნივერსიტეტი არის ერთადერთი უნივერსიტეტი საქართველოში, რომელიც თავისი სტუდენტებისთვის გასცემს საერთაშორისო დონის სერტიფიკატს Cisco-ს ქსელური აკადემიის CCNA და CCNP კურსების წარმატებით გავლის შესახებ. საქართველოს უნივერსიტეტის Cisco-ს ქსელური აკადემია სტუდენტებს საშუალებას აძლევს მიიღონ ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რაც მათ დაეხმარებათ უკეთ მოემზადონ Cisco-ს სერთაშორისო სერტიფიკატის მისაღებად გამოცდისთვის (Cisco-ს საერთაშორისო სერტიფიკატების მისაღებად საჭიროა შესაბამისი გამოცდების ჩაბარება რომელიმე ავტორიზებულ საგამოცდო ცენტრში).

მედია ცენტრი და სატელევიზიო სტუდია

საქართველოს უნივერსიტეტის მედია ცენტრი და სატელევიზიო სტუდია უნიკალურ საშუალებას აძლევს მომავალ ჟურნალისტებს პრაქტიკაში გაამყარონ თეორიული ცოდნა. მედია ცენტრი და სტუდია აღჭურვილია უახლესი ვიდეო ტექნიკით, რაც უზრუნველყოფს ნებისმიერი მასალის ეფექტურ დამუშავებას.

ფინანსური რესურსები

საქართველოს უნივერსიტეტის, მთავარ ფინანსურ რესურსს სწავლების გადასახადი წარმოადგენს. შემოსავალი ცვალებადია, რადგან წლების განმავლობაში იცვლება არამხოლოდ სწავლების საფასური არამედ სტუდენტთა რაოდენობაც. უნივერსიტეტს ასევე აქვს დამატებითი მომსახურების ობიექტები.

დამატებითი ფინანსური შემოსავლის წყაროებია:

- ✓ სპორტული მოედნები
- ✓ გამომცემლობა
- ✓ წიგნებისა და საკანცელარიო მაღაზია
- ✓ კერძო პირთა, ან ორგანიზაციათა შემოწირულობები
- ✓ სხვადასხვა გრანტები
- ✓ ფართის გაქირავების შედეგად მიღებული შემოსავალი
- ✓ მიღებული დივიდენდები

ფინანსურ რესურსს, აგრეთვე წარმოადგენს საქართველოს უნივერსიტეტისა და OPIC -ის შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბანკო ლიმიტი.

ადამიანური რესურსი

ადამიანური რესურსი

საქართველოს უნივერსიტეტის ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი - ადამიანური რესურსია. უნივერსიტი ამყობს თავისი მაღალკვალიფიციური პროფესორით, რომელიც შედგება როგორც მუდმივი ასევე მოწვეული სპეცილისტებისაგან.

უნივერსიტეტი ზრუნავს თანამშრომლებისა და სტუდენტების კმაყოფილების დონის გაუმჯობესებაზე. დიდი ყურადღება ეთმობა კომფორტული, ჯანსაღი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გარემოს შექმნასა და შენარჩუნებას.

უნივერსიტეტი, ცდილობს გააღრმავოს და წარმოაჩინოს მის სივრცეში მოღვაწე ტალანტები. ფაქტი, რომ უნივერსიტეტის თანამშრომელთა 20% სწორედ საქართველოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ადასტურებს ამ ტენდენციას.

საქართველოს უნივერსიტეტში წარმატებით ფუნქციონირებს კარერიული წინსვლისა და სტუდენტურ საქმეთა ცენტრი, რომლის მოღვაწეობის ფარგლებშიც მრავალი სტუდენტი და კურსდამთავრებული დასაქმდა. ასევე განხორციელდა სტუდენტების მიერ შემუშავებული მრავალი პროექტი.

უნივერსიტეტი:

- ✓ ზრუნავს სტუდენტებისა და თანამშრომლების კმაყოფილების დონის შენარჩუნებაზე;
- ✓ უქმნის კომფორტულ, ჯანსაღ, საერთაშორისო დონის, უსაფრთხო გარემოს მის სივრცეში მოღვაწე პიროვნებებს;
- ✓ ეხმარება კარიერულ წინსვლაში, ასევე მის სივრცეში ასაქმებს სტუდენტებს;
- ✓ აფინანსებს სტუდენტების მიერ შემუშავებულ პროექტებს;
- ✓ აწყობს საგანმანათლებლო, გასართობ-შემეცნებით ღონისძიებებს, რომ გამყარდეს ურთიერთობა, როგორც თანამშრომლებს ასევე სტუდენტებს შორის.
- ✓ უნივერსიტეტში მოღვაწეობენ მაღალკვალიფიციურ ქართველი თუ უცხოელი პროფესორები;

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგული კამპანიის სტრატეგია

საქართველოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის გრძელვადიან ამოცანას წარმოადგენს საზოგადოების ცნობიერებაში უნივერსიტეტის დამკვიდრება, როგორც ყველაზე ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლების მომწოდებელი უმაღლესი დაწესებულება. მისი იდენტიფიცირება უნდა ხდებოდეს პოტენციურ მომხმარებლებში, როგორც სასწავლო დაწესებულება რომელიც აწვდის უფრო მეტს, ვიდრე ხარისხიან განათლებას. საქართველოს უნივერსიტეტი მოუწოდებს მის პოტენციურ მომხმარებლებსა და სტუდენტებს სწავლისაკენ, რადგან ის არის უპირველესი გზამკვლევი წარმატებული კარიერისაკენ, სწორედ ამ მიზნით იქნა შემუშავებული სლოგანი „ისწავლე მომავლისთვის“ და მომდევნო წლების განმავლობაში იგი არ შეიცვლება.

გრძელვადიანი მარკეტინგული ამოცანა:

- გახდეს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე ცნობადი უნივერსიტეტი;
- შესთავაზოს მომხმარებლებს ხელმისაწვდომი განათლება;
- დაიმკვიდროს საგანმანათლებლო ბაზარზე ხარისხიანი განათლების მიწოდების დაწესებულების პოზიცია;
- შენარჩუნდეს სტუდენტთა, მშობელთა და თანამშრომელთა კმაყოფილების დონე;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების პროცენტული მაჩვენებლის ზრდა;
- თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციის დანერგვა;
- სასწავლო პროგრამების სპექტრის გაფართოვება;
- მართვის პროცესის ავტომატიზირება;

- დისტანციური სწავლების პლატფორმის შექმნა;
- ბიზნეს ალიანსების გაფართოება.

გრძელვადიან სამარკეტინგო კომუნიკაციის არხებს წარმოადგენს:

- ვებ-გვერდი და სოციალური მარკეტინგი;
- სტრატეგიული ალიანსები (ადგილობრივი და საერთაშორისო);
- ღონისძიებების მართვა;
- ბეჭდური და ტელე-მედია;
- UG ინტერნეტ-რადიო;
- დისტანციური სწავლების პლატფორმა.

პირდაპირი მომხმარებლები: საშალო სკოლის მე-12 კლასელები, არსებული სტუდენტები, თანამშრომლები, ლექტორები, უმაღლესი საგანმანათლებლო საფეხურის (საბაკალავრო/სადოქტორო) სწავლებისა და პროფესიული გადამზადების მსურველები.

არაპირდაპირი მომხმარებლები: აბიტურიენტთა და სტუდენტთა მშობლები, საშუალო სკოლის დირექტორები და პედაგოგები, სამეწარმეო თუ არასამეწარმეო ორგანიზაციები და კურსდამთავრებულები.

სეგმენტირებული საზოგადოებასთან ურთიერთობის არხები:

ზოგადი	აბიტურიენტები	სტუდენტები	საერთაშორისო სტუდენტები	კურსდამთავრებული
<ul style="list-style-type: none"> • ვებ-გვერდი • ტელევიზია • რადიო • პრესა • სოციალური ქსელები • გარე რეკლამა 	<ul style="list-style-type: none"> • პირდაპირი მარკეტინგი (სკოლებში ვიზიტი) • საზაფხულო ბანაკები • ოლიმპიადები • ბროშურები • პირდაპირი მეილები • გასართობ-შემეცნებითი ღონისძიებები • სპორტული აქტივობები ღია კარის დღეები • ვებ-გვერდი • კამპუსის ტურები • აბიტურიენტთა 	<ul style="list-style-type: none"> • თვითმმართველი კლუბები • საუნივერსიტეტო გაზეთი • ვებ-გვერდი • ონლაინ მართვის სისტემა • სტიპენდიები • ოლიმპიადები • გასართობ-შემეცნებითი აქტივობები • ტრენინგები, კონფერენციები • სემინარები • საორიენტაციო დღეები 	<ul style="list-style-type: none"> • ვებ-გვერდი • სოციალური ქსელები • აეროპორტის ბეჭდური მედია • სტრატეგიული საერთაშორისო ალიანსები • კონფერენციები • ბროშურები • საძიებო სისტემის ოპტიმიზაცია 	<ul style="list-style-type: none"> • კურსდამთავრებულთა ბაზა • ღონისძიებები • შეხვედრები ლექტორებთან • სოციალური ქსელი • ინტელექტუალური შეჯიბრი

	მომზადების პროგრამა <ul style="list-style-type: none"> • სოციალური ქსელები 			
--	---	--	--	--

ძირითადი სამარკეტინგო კომუნიკაციის არხები:

- UG ელექტრონული საინფორმაციო ბაზა;

ონლაინ UG-ს მეშვეობით უნივერსიტეტი გაავრცელებს საჭირო ინფორმაციას ღონისძიებებთან, საგანმანათლებლო პროგრამებთან და სტუდენტურ აქტივობებთან დაკავშირებით, როგორც სტუდენტებში, ისე კურსდამთავრებულთა შორის.

- პირდაპირი მეილები, სატელეფონო კავშირი, SMS ინფორმაცია;

აბიტურიენტთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ცენტრალური საინფორმაციო ბაზის მეშვეობით, სადაც მოცემულია თითოეული პირის საკონტაქტო ინფორმაცია, გავრცელდება ყველა საჭირო სიახლე აბიტურიენტთა მოსაზიდად, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ინფორმირებისათვის.

- რეგულარულად აღსანიშნავი ღონისძიებები (ახალი წელი, დამოუკიდებლობის დღე, საზაფხულო ფესტივალი, დამამთავრებელი ცერემონიალი, პირველკურსელთა დახვედრა, ჰელოუინი);

აღნიშნული შეხვედრები იმართება რეგულარულად (წელიწადში ერთხელ) და იგი ემსახურება, როგორც არსებული სტუდენტების, ისე მშობლების, საშუალო სკოლის დირექტორების, კურსდამთავრებულთა და აბიტურიენტთა შორის მჭიდრო კავშირის დამყარებას.

- კორპორაციული ღონისძიებები (შიდა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან);

ადგილობრივი და საერთაშორისო ალიანსები ხელს შეუწყობს, როგორც უნივერსიტეტის ცნობადობის გაზრდას, ისე საჭირო კონტაქტების დამყარებას, რომელიც მომავალში უზრუნველყოფს უფრო მეტი კურსდამთავრებულის დასაქმებას, ასევე ორმაგი ხარისხისა და გაცვლითი პროგრამები სპექტრის გაფართოვებას.

- მედია კომუნიკაციები (გამომცემლობა, ბეჭდური მედია, ტელევიზია, რადიო);

საქართველოს უნივერსიტეტის შესახებ ფართო საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებისათვის, სადაც კონკრეტულად განსაზღვრული სეგმენტი არ არის, გამოიყენება მასობრივი კომუნიკაციის არხები.

- სოციალური ქსელებისა და ვებ-მარკეტინგი ;

თანამედროვე ონლაინ ტექნოლოგიები, სულ უფრო მეტ მომხმარებელს იზიდავს ინტერნეტ სივრცეში. სოციალური ქსელებისა და საქართველოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, მიზნად ისახავს მომხმარებლისათვის საჭირო ინფორმაციის დროულ გავრცელებასა და მიწოდებას. აგრეთვე, ძიების ოპტიმიზაციის მეშვეობით, გაიზრდება საქართველოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდის ცნობადობა როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო ბაზარზე.

- ინტელექტუალური შეჯიბრი, ოლიმპიადები, სპორტული ტურნირები, კორპორატიული სპორტული აქტივობები;

სასწავლო პროცესის პარალელურად, სტუდენტების მრავალმხრივ განვითარებას ხელს უწყობს სხვადასხვა სპორტული, საგანმანათლებლო თუ გასართობი ღონისძიებები. აბიტურიენტთა მოსაზიდად ხშირად გამოიყენება აღნიშნული ტექნიკა, რომელიც საუნივერსიტეტო ცხოვრებას უფრო ნათლად წარმოაჩენს. თანამშრომელთა შორის გუნდური მუშაობის განვითარებისათვის, გაიმართება სხვადასხვა სპორტული და განსატვირთი ღონისძიებები.

- კამპუს ტურები, ღია კარის დღეები;

აბიტურიენტთა და მშობელთა შორის ერთ-ერთი უმთავრესი საკომუნიკაციო არხი კამპუს ტურები და ღია კარის დღეებია, სადაც დაინტერესებული პირი არამხოლოდ ეცნობა უნივერსიტეტის გარემოს, ლექტორებს და სასწავლო პროცესს, არამედ ადგილზე იღებს მისთვის საჭირო ყველა ინფორმაციას.

- მოკლევადიანი ტრენინგ კურსები, სემინარები, კონფერენციები და პროექტის პრეზენტაციები.

მოკლევადიანი ტრენინგ კურსები იზიდავს არამხოლოდ პირდაპირ, არამედ არაპირდაპირ მომხმარებლებსაც, რომლის მეშვეობით გრძელვადიან პერსპექტივაში იზრდება უნივერსიტეტის ცნობადობა. აგრეთვე, აღნიშნული ტექნიკა გამოიყენება აბიტურიენტთა მოსაზიდად და საშუალო სკოლი პედაგოგებს შორის მჭიდრო ურთიერთობის დასამყარებლად. სტუდენტთათვის რეგულარულად იმართება სხვადასხვა კონფერენციები, სემინარები და პროექტის პრეზენტაციები, რაც ხელს უწყობს მათი ვერბალური და წერიტი უნარების განვითარებას, ასევე ანალიტიკურ აზროვნებასა და ფართო საზოგადოებასთან ურთიერთობას.

მარკეტინგული კვლევები:

საქართველოს უნივერსიტეტის ყველა მარკეტინგული და პიარ აქტივობა იზომება რეგულარული კვლევების ჩატარების საფუძველზე, რომელიც მიზნად ისახავს სხვადასხვა

აქტივობების შეფასებას, სეგმენტის პრეფერენციის გამოვლენას, მათი მოთხოვნების შესწავლასა და განხორციელებული აქტივობის წარმატებისა თუ წარუმატებლობის გაზომვას.

რეგულარული კვლევები:

- კონკურენტთა ანალიზი - ერთიანი ეროვნული გამოცდების გამოცხადებული ადგილებისა და შედეგების მიხედვით.
- კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა - სატელეფონო გამოკითხვის მეშვეობით.
- მარკეტინგული და პიარ არხების ეფექტურობის კვლევა - პირველკურსელთა შორის ონლაინ გამოკითხვა გამოყენებული საკომუნიკაციო არხების ეფექტურობის შეფასებაზე.
- პირველკურსელთა მოლოდინის კვლევა - ონლაინ გამოკითხვა პირველკურსელებზე, რომელიც ავლენს მოლოდინსა და უნივერსიტეტში ჩაბარების მოტივაციას.
- მე-2, მე-3, მე-4 და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა კვლევა - ონლაინ კითხვარის მეშვეობით არსებული პრობლემების, რეკომენდაციებისა და ძლიერი მხარეების უკეთ წარმოჩენისათვის.
- აბიტურიენტთა კვლევა - საშუალო სკოლებში მე-12 კლასელთათვის დარიგებული კითხვარის მეშვეობით წინასწარი შედეგისა და ბრენდ ლოიალურობის განსაზღვრა.
- მშობელთა კვლევა - ონლაინ კითხვარის მეშვეობით მშობელთა კმაყოფილების დონის განსაზღვრა.
- თანამშრომელთა კვლევა - პირდაპირი და ონლაინ კითხვარის მეშვეობით თანამშრომელთა კმაყოფილების დონის, რეკომენდაციებისა და პრეფერენციის დონის დადგენა.

უნივერსიტეტის ინვესტიციები და თანმდევი ობიექტები

უნივერსიტეტის დამატებით მომსახურების ობიექტებია:

- ✓ გამომცემლობა
- ✓ წიგნებისა და საკანცელარიო მაღაზია
- ✓ სასადილო და კაფეტერია
- ✓ ავეჯის საწარმო
- ✓ სამედიცინო კლინიკა

გამომცემლობა- დაარსდა საქართველოს უნივერსიტეტთან ერთად 2004 წელს. გამომცემლობის ამოცანაა, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საუნივერსიტეტო მიზნების განხორციელებაში. ასევე ხელმისაწვდომ ფასად შესთავაზოს ნებისმიერ სტუდენტს სასწავლო მასალა. საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა გამოსცემს აკადემიურ და საგანმანათლებლო ნაშრომებს, რაც ხელს უწყობს ცოდნის, განათლებისა და სწავლების გაუმჯობესებას. სამომავლო გეგმა ითვალისწინებს, გამომცემლობის ცალკეულ

სტრუქტურულ ერთეულად გარდაქმნას, რომელიც არამხოლოდ უნივერსიტეტს მოემსახურება საჭირო მასალებითა და წიგნებით, არამედ მიიღებს დამატებით შეკვეთებს სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან. გამომცემლობის ეფექტური განვითარება შესაძლებელია, როგორც პოლიგრაფიული ხაზის განვითარებით, რაც მოიცავს საჭირო დანადგარების შესყიდვას და სარეკლამო კომპანიის ჩამოყალიბებას, აგრეთვე საგამომცემლო დანადგარების გაუმჯობესებას, რომელიც მომხმარებელს შესთავაზებს მაღალ პოლიგრაფიულ და კონკურენტუნარიან ხარისხს.

წიგნებისა და საკანცელარიო მალაზია- მალაზიაში წარმოდგენილია საქართველოსა და საზღვარგარეთის გამომცემლობების პროდუქცია. ასევე კომპიუტერებისა და კომპუტერის აქსესუარების ფართო არჩევანი. მალაზია აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ქართულ თუ უცხოურ გამომცემლობებთან, აქვს მჭიდრო ურთიერთობა Pearson-ის გამომცემლობასთან. მალაზიის მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტების საჭირო მასალით მომარაგებას, ხელმისაწვდომ ფასად. ასევე საჭიროების შემთხვევაში დაეხმაროს სტუდენტებს ელექტრონულად გამოიწერონ ნებისმიერი მათთვის საჭირო მასალა.

სამომავლო სამოქმედო გეგმა მოიცავს წიგნებისა და საკანცელარიო მალაზიის მომწოდებელთა რაოდენობის გაზრდას, რომელიც მიზანმიმართული იქნება დაბალ ფასად შეისყიდოს პროდუქცია, რათა კიდევ უფრო ხელმისაწვდომ ფასად მიაწოდოს მომხმარებელს. აგრეთვე, კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების ფართო სპექტრი, განაპირებობს შიდა განვადების სისტემის ჩამოყალიბებასა და სხვადასხვა კომერციულ ბანკებთან ურთიერთობების გაღრმავებას.

კაფეტერიები- მოწყობილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, აქვს საკუთარი სამზარეულო და საცხობი, რომელიც უნივერსიტეტის სტუდენტებს, თანამშრომლებსა და სტუმრებს უმასპინძლდება გემრიელი, ქართული, ტრადიციული და არატრადიციული კერძებით.

კაფეტერიებს ყოველდღიურად 1000-მდე სტუდენტი სტუმრობს, რაც უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამატებითი ფინანსური რესურსია. შემოსავალი სასააღილოს არსებობასა და მუდმივ განვითარებას ხმარდება. გარდა ამისა, სასააღილო ემსახურება კონფერენციების, ტრენინგების და პრეზენტაციების მონაწილეებს. უნივერსიტეტი ზრუნავს, რომ მის სტუდენტებს, თანამშრომლებსა და სტუმრებს ჯანსაღი კვების პირობები შეუქმნას ხელმისაწვდომ ფასად.

კაფეტერიის ეფექტური გამოყენება მოიცავს Catering მომსახურების გაუმჯობესებასა და განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს როგორც უნივერსიტეტის ღონისძიებების შესაბამისი საკვები პროდუქტებითა და გაფორმებით უზრუნველყოფას, აგრეთვე გარე ორგანიზაციების მომსახურებას. კაფეტერიის ფართი საშუალებას იძლევა საღამო საათებში (როდესაც სტუდენტები აღარ სტუმრობენ აღნიშნულ ობიექტს) გაქირავდეს სხვა ორგანიზაციებზე, რაც დამატებითი შემოსავლის წყარო იქნება უნივერსიტეტისათვის.

ავეჯის საწარმო- საწარმო დაარსდა 2009 წლის 1 სექტემბერს საქართველოს უნივერსიტეტის ბაზაზე. სასწავლო ავეჯის საწარმო ამარაგებს უნივერსიტეტს მაღალხარისხიან სასწავლო ავეჯით, რაც ზოგავს უნივერსიტეტის დანახარჯიანობას. საწარმო ასრულებს როგორც საქართველოს უნივერსიტეტის, ასევე სხვა ორგანიზაციების დაკვეთებს. ავეჯის საწარმოს ეფექტური გამოყენება მოიცავს, უნივერსიტეტის საჭირო ავეჯით (სკამები, მერხები, თაროები, კარადები და სხვა) დროულად უზრუნველყოფას, რაც შეუმცირებს ადმინისტრაციას დანახარჯიანობასა და შეკვეთის მიწოდების დროს.

უნივერსიტეტის სამომავლო გეგმა ითვალისწინებს შეკვეთების მიღებას სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან, ასევე ხის მასალის მომწოდებლებთან თანამშრომლობას, რომელიც ორიენტირებული იქნება კონკურენტუნარიანი საფასო პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და ხარისხის ზრდაზე. ავეჯის საწარმოს განვითარების გრძელვადიანი გეგმა მოიცავს საკუთარი ავეჯის სალონის გახსნას, რომელიც მოემსახურება უნივერსიტეტის თანამშრომლებს შეღავათიან ფასად (განვადებით გამოტანა, ფასდაკლებით სარგებლობა) აგრეთვე, გარე პირებს ხელმისაწვდომ ფასად. ავეჯის საწარმოს საშუალება ექნება მიიღოს როგორც ინდივიდუალური, ასევე საწარმოო შეკვეთები და დააკმაყოფილოს ნებისმიერი სირთულის დიზაინის შექმნა.

სამედიცინო კლინიკა- საქართველოს უნივერსიტეტის ბაზაზე დაარსებულია სამედიცინო კლინიკა, რომელიც ემსახურება საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტებსა და თანამშრომლებს. მაღალკვალიფიციური ექიმები ნებისმიერ მსურველს უწევენ კონსულტაციასა და საჭირო სამედიცინო დახმარებას.

სამედიცინო კლინიკის ეფექტურად გამოყენება მოიცავს მისი არსებული ფართობის გაფართოვებასა და სათანადო სამედიცინო დანადგარებითა და ტექნიკით აღჭურვას. ერთი მხრივ, ეს ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სტუდენტებმა გაიარონ პრაქტიკა-სტაჟირება რეალურ პაციენტებზე და მეორე მხრივ, მაღალკვალიფიციური პერსონალის მოწვევის შედეგად, უნივერსიტეტის თანამშრომლებმა მიიღონ ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება, (მხოლოდ გადაუდებელი ამბოლატორიული შემთხვევების გარდა).

მონიტორინგისა და შეფასების კრიტერიუმები

სტრატეგიული მიზნების განხორციელების ვადები

დაგეგმარების საფეხურები	განსახორციელებელი აქტივობები	თარიღი
I ეტაპი	<p>მიზანი I : აბიტურიენტთა ცენტრალური საინფორმაციო ბაზის განვითარება, რომლიც განახლდება ყოველ წლიურად და მოიცავს პოტენციურ მომხმარებელთა საკონტაქტო ინფორმაციასა და აკადემიური მოსწრების ცნობას.</p> <p>განხორციელების სტრატეგია: საშუალო სკოლის დირექტორებისა და მასწავლებლებისაგან XII კლასელთა შესახებ ინფორმაციის მოწოდება. რესპუბლიკური ოლიმპიადების მეორე ტურში გადასულთა შედეგების მოპოვება. აგრეთვე, UG მოსწავლეთა კლუბის პოპულარიზაცია სკოლის მოსწავლეთა შორის, რაც უნივერსიტეტს საშუალებას მისცემს გააფართოვოს საკონტაქტო ინფორმაციის ბაზა.</p> <p>მიზანი II : მჭიდრო და ეფექტური ურთიერთობის დამყარება საშუალო სკოლის დირექტორებთან.</p> <p>განხორციელების სტრატეგია: დირექტორთა კლუბის განვითარება, რომლის ფარგლებშიც რეგულარულად მოეწყობა სხვადასხვა შემეცნებით-გასართობი ღონისძიებები.</p> <p>მიზანი III: ბიზნეს ალიანსების გამყარება, წამყვან ქართულ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რათა მომავალ და არსებულ კურსდამთავრებულებს დასაქმების რეალური საშუალება მიეცეთ.</p> <p>განხორციელების სტრატეგია: მემორანდუმების გაფორმება, ერთობლივი საგანმანათლებლო თუ არა საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება, საქართველოს უნივერსიტეტის ღონისძიებებზე ორნაზიციების წარმომადგენელთა მოწვევა .</p> <p>მიზანი IV: საქართველოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ბაზის განახლება, სადაც წარმოდგენილი იქნება ყოველი კურსდამთავრებულის ელექტრონული CV. ბაზის პოპულარიზაცია დამსაქმებელთა შორის.</p> <p>განხორციელების სტრატეგია: მემორანდუმების გაფორმება ქართულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასევე დასაქმების ელექტრონულ გვერდებთან, როგორცაა www.jobs.ge , www.hr.com.ge. რეგულარული შეხვედრები წამყვანი კომპანიების ადამიანური რესურსების მენეჯერებთან და ბაზის პრეზენტაცია.</p> <p>მიზანი V: აბიტურიენტების მოზიდვა, არსებული სტუდენტების</p>	2014-2017 წწ

	<p>კმაყოფილების დონის შენარჩუნება და გაუმჯობესება.</p> <p>განხორციელების სტრატეგია: გასართობი, საგანმანათლებლო, შემეცნებითი ღონისძიებების რეგულარული დაგეგმვა და განხორციელება.</p> <p>მიზანი VI: თითოეული სკოლის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა</p> <p>განხორციელების სტრატეგია: სასწავლო ლაბორატორიების განვითარება, სასწავლო-კვლევითი ცენტრების გაფართოვება, ბიბლიოთეკის დამატებითი წიგნების კოლექციით მომარაგება, უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურით აღჭურვა, სპეციალიზირებული სასწავლო-პრაქტიკული ცენტრების ჩამოყალიბება.</p> <p>მიზანი VII: ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავება და არსებული პროგრამების განვითარება, რომელიც დაყრდნობილი იქნება საგანმანათლებლო ბაზრის მოთხოვნებზე.</p> <p>განხორციელების სტრატეგია: საგანმანათლებლო ბაზრის კონიუქტურის შესწავლა, რომელიც გამოავლენს ბაზარზე მოთხოვნად აკადემიურ პროგრამებს, საერთაშორისო უნივერსიტეტებთან მჭიდრო კონტაქტი, დასავლური სასწავლო პროცესის ტენდენციების გაზიარების მიზნით.</p>	
II ეტაპი	<p>მიზანი I: გაფართოვდეს საერთაშორისო კონტაქტების არეალი, გამყარდეს ურთიერთობა საზღვარგარეთის წამყვან უნივერსიტეტებსა და კომპანიებთან. ორმაგი ხარისხისა და გაცვლითი პროგრამების სპექტრის გაფართოების მიზნით.</p> <p>განხორციელების სტრატეგია: მემორანდუმების გაფორმება დასავლეთის, ა.შ.შ-სა და ახლო აღმოსავლეთის რეიტინგულ უნივერსიტეტებთან. რეგულარული შეხვედრები საზღვარგარეთის მხარესა და უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან. ღონისძიებებზე მოწვევა, საპატიო დოქტორის წოდების გადაცემა საერთაშორისო დონის პროფესიონალებზე. პრეზენტაციებისა და პროექტების წარდგენა უნივერსიტეტის საქმიანობასა და მიღწევებზე. წარმატების შემთხვევაში ეს აღიანსები ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის სტუდენტების დასაქმებას საერთაშორისო ორნაგიზაციებში და გაამყარებს საქართველოს უნივერსიტეტის იმიჯს საერთაშორისო დონეზე, ასევე გააფართოვებს უნივერსიტეტის გაცვლითი და ორმაგი პროგრამების არჩევანს.</p> <p>მიზანი II: აბიტურიენტთა მოზიდვა ქვეყნის მასშტაბით.</p> <p>განხორციელების სტრატეგია: მასშტაბური საგანმანათლებლო,</p>	2017-2020 წწ

	<p>გასართობ-შემეცნებითი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, რათა უნივერსიტეტმა უფრო ეფექტურად მოიზიდოს აბირიენტები მთელი საქართველოდან. რეგიონების სეგმენტირებულად დაყოფა და საუკეთესო აბიტურიენტების მოძიება, რომლებიც უფასოდ გაივლიან ეროვნული გამოცდების მოსამზადებელ კურსს საქართველოს უნივერსიტეტში. აღნიშნული აქტივობები მოიზიდავს საუკეთესო სტუდენტებს და გაიზარდოს უნივერსიტეტის ცნობადობას მთელი ქვეყნის მასშტაბით.</p> <p>მიზანი III: მჭიდრო ურთიერთობა მედიასთან.</p> <p>განხორციელების სტრატეგია: საერთო პროექტების განხორციელება. რეგულარული სატელევიზიო ჩართვები ხელშეკრულებებისა და საბარტერო მოლაპარაკების საფუძველზე, რათა საზოგადოებას მიეწოდოს რელევანტური და დროული ინფორმაცია. რეგულარულად ხდებოდეს სატელევიზიო ჩართვები უნივერსიტეტიდან, რათა სწრაფად გავრცელდეს უნივერსიტეტის მიმდინარე აქტივობები და გაიზარდოს ცნობადობის დონე.</p> <p>მიზანი IV: საქართველოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა შორის შემცირდეს უმუშევართა პროცენტული მაჩვენებელი.</p> <p>განხორციელების სტრატეგია: უნივერსიტეტი თავის სივრცეში დაასაქმებს წარმატებულ კურსდამთავრებულებს, ასევე გამყარებული ურთიერთობის საფუძველზე როგორც ქართულ, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან უშუამდგომლებს თავის კურსდამთავრებულებს და შეუწყობს ხელს დასაქმებაში.</p> <p>მიზანი V: დისტანციური სწავლების პლატფორმის შექმნა.</p> <p>განხორციელების სტრატეგია: დისტანციური სწავლების პლატფორმის შექმნა, ხელს შეუწყობს როგორც ქართველი ასევე უცხოელი ინდივიდებისა და ჯგუფების მოზიდვას სასწავლო პროგრამაზე. საძიებო სისტემის ოპტიმიზაციის მეშვეობით საქართველოს უნივერსიტეტს საშუალება ექნება გახდეს ერთ-ერთი ლიდერი ამიერკავკასიაში დისტანციური სწავლების შეთავაზების კუთხით. აღნიშნული ინიციატივა გაზრდის, როგორც უნივერსიტეტის ფინანსურ შემოსავალს, ასევე მის ცნობადობას.</p> <p>მიზანი VI: საერთაშორისო აკრედიტაციის მიღება.</p> <p>განხორციელების სტრატეგია: ბოლონიის პროცესის მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება. ორმაგი ხარისხის პროგრამების შეთავაზება. AACSB-სა, EFMD EQUIS მოთხოვნების დაკმაყოფილება და EUA სრული წევრობა.</p>	
--	--	--

	<p>მიზანი VII: უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის მოწყობა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.</p> <p>განხორციელების სტრატეგია: ვინაიდან უნივერსიტეტი გეგმავს მიიღოს საერთაშორისო აკრედიტაცია და უმასპინძლოს სტუდენტებს მთელი მსოფლიოდან აუცილებელია უნივერსიტეტის ბაზაზე არსებობდეს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, გამართული საერთო საცხოვრებელი.</p>	
--	---	--

შეფასების მეტრიკა და კრიტერიუმები

შეფასების კრიტერიუმი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
სკოლების რეიტინგი უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის მიხედვით				X			X	X			X			
ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა	X	X	X	X			X	X	X		X			X
წარჩინებულ სტუდენტთა რაოდენობა	X	X	X	X	X	X	X	X			X		X	
ბაკალავრების პროცენტი, რომლებიც UG მაგისტრატურაში აგრძელებენ სწავლას	X			X	X		X	X	X					X
სასწავლო პროგრამების რაოდენობა კონკურენტი უნივერსიტეტის პროგრამებთან შეფარდებით	X		X	X			X	X			X			
საპატიო დოქტორების რაოდენობა	X		X	X			X	X	X	X			X	
ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა რაოდენობა	X						X	X	X					
დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა შორის	X			X			X	X			X			
მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა რაოდენობა	X						X	X	X					
დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა შორის	X			X			X	X			X			
განხორციელებულ ღონისძიებებზე დასწრებულ აბიტურიენტთა რაოდენობა	X			X			X				X			
გაცემული ფინანსური შეღავათებისა და სტიპენდიის შეფარდება სტუდენტების რაოდენობასთან	X			X			X				X			
სტუდენტების რიცხვის შეფარდება ფაკულტეტების რაოდენობასთან	X	X		X			X				X			

ლექციების, კონფერენციების, სემინარებისა და ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა სკოლების მიხედვით	X	X	X	X	X	X	X	X			X	X		X
კურსდამთავრებულთა რაოდენობა, რომელიც ჩართულია უნივერსიტეტის საქმიანობაში	X						X							
კურსდამთავრებულთა დაკავებული მენეჯერული პოზიციების მაჩვენებელი	X						X							
პროფესორების შეფარდება სტუდენტების რაოდენობასთან	X	X	X	X				X	X	X	X			
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	X		X		X	X	X	X		X	X	X		
უცხოელი პარტნიორების (უნივერსიტეტების, ორგანიზაციების) რაოდენობა	X	X	X	X	X	X	X	X		X	X	X	X	
საქართველოს უნივერსიტეტის აქტიურობის მაჩვენებელი მედიაში	X		X	X			X	X	X		X			
ინტერნეტ ანალიტიკური სტატისტიკის მაჩვენებელი (ტრაფიკი)							X	X	X		X	X		
განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობის შეფარდება სასწავლო წელთან	X		X	X			X	X	X	X	X			
აკადემიური პერსონალის და ადმინისტრაციის კომპენსაციის შეფარდება უნივერსიტეტის საერთო დანახარჯიანობასთან	X		X						X	X				
უნივერსიტეტის მეგობრების, საპატიო დოქტორების, საშუალო სკოლების დირექტორთა და სხვადასხვა ორგანიზაციების ჩართულობა უნივერსიტეტის საქმიანობაში (რაოდენობა)	X		X				X	X	X	X	X		X	
ტექნიკური გამართულობა (ელექტრონული სისტემის ადმინისტრირების სისწრაფე, შეუფერხებლობა, ინფორმაციის გავრცელების ხელმისაწვდომობა)	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X		X
სტუდენტური გარემოს შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან	X	X		X	X		X	X	X		X	X		X
საჩივრების რაოდენობა სასწავლო პროცესთან დაკავშირებით	X	X		X				X						
საჩივრების რაოდენობა სტუდენტურ ცხოვრებასთან დაკავშირებით	X						X	X						
უნივერსიტეტის ღონისძიებებში	X						X	X						

ჩართულ სტუდენტთა რაოდენობა														
უნივერსიტეტის ცნობადობისა და სხვა სტრატეგიული თუ ტაქტიკური მიზნების შესახებ რეგულარული კვლევის შედეგები		X		X	X	X	X	X	X	X	X			
უნივერსიტეტის დამატებითი ობიექტებისაგან მიღებული ფინანსური სარგებელი							X		X				X	
სამეცნიერო კვლევების რაოდენობა	X	X	X	X	X	X	X	X		X	X			
კორპორატიული ღონისძიებების რაოდენობა			X				X			X				
დაფინანსებული სტუდენტური პროექტების რაოდენობა	X	X		X		X	X	X	X		X		X	
აკადემიური პერსონალის ნამუშევარი საათების რაოდენობის შეფარდება უნივერსიტეტში დაწესებულ ნორმასთან			X	X						X				
უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული ინვესტიციების ჯამური რაოდენობა წელიწადის განმავლობაში									X				X	